ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკა

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1929 წ. ივნისის 10 № 11 ნაწილი პირველი

შინაარსი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

80. ახალ სპეციალისტთა მომზადებისა, განაწილებისა და გამოყენების შესახებ.

81. ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა უკადურესი განაკვეთების შესახებ.

82. სამანეკრო საბინაო ფონდის შესახებ.

83. სამ. სამ. კოდ. 72 მუხ. შენიშვნის და 90, 103, 105, 182[3] და 185 მუხლების შეცვლის შესახებ.

84. მილიციისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის მომუშავეთათვის ნამსახურობის მიხედვით შრომის ხელფასის პერიოდული მომატების შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

85. სისხლის სამართლის კოდექსის იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა.

86. სამოქალაქო სამართლის კოდექსის იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა.

87. მიწის კოდექსის იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა.

88. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა.

89. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა.

90. სასამართლოს წყობილების დებულების იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

91. ნატახტარის წყალსადენის მშენებელი კომიტეტის („ნატახტკომის“) დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება ნატახტარის წყალსადენის მშენებელი კომიტეტის („ნატახტკომის“) შესახებ.

92. მებადეობის სფეროში განსახორციელებლად აგრიკულტურულ ღონისძიებათა საკიროებისათვის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან განსაკუთრებული ფონდის დაარსების თაობაზე—გამოცემული ა/კავშირ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

93. მებადეობის სფეროში განსახორციელებელ აგრიკულტურულ ღონისძიებათა განსაკუთრებული ფონდის თანხების გადახდევინებისა, შენახვისა და ხარჯვის წესების დამტკიცების შესახებ.

წესები მებადეობის სფეროში განსახორციელებელ აგრიკულტურულ ღონისძიებათა განსაკუთრებული ფონდის თანხების გადახდევინებისა, შენახვისა და ხარჯვის შესახებ.

94. აგრიკულტურულ ღონისძიებათა განხორციელების საქმის რწმუნებულთა ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

95. სამრეწველო მშენებლობის რაციონალიზაციისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

96. ძალღების ცოფიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

97. სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ დადებულ ხელშეკრულებათა და გარიგებათა სანტარო გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

98. სრულიად საკავშირო პოლიტკატორღელებისა და გადასახლებულთა სახოგადოების წევრთა შვილების მუშების შვილებთან გათანასწორების შესახებ სასწავლებლებში შესვლისათვის.

99. საქართველოს სსრ ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოდ გადაკეთებისა და საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

80. დადგენილება ც. ა .კ. და ს. კ. ს.

ახალ სპეციალისტთა მომზადებისა, განაწილებისა და გამოყენების შესახებ.

„ახალ სპეციალისტთა მომზადებისა, განაწილებისა და გამოყენების შესახებ“ გამოცემული (სსრკ კან. კრ. 928 წ. 58 №-რი მუხ. 513) სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აგვისტოს 29-ს დადგენილების თანახმად და სპეციალისტთა ახალი კადრების მომზადებისა, განაწილებისა და გამოყენების საქმის ძირითადი გაუმჯობესებისათვის—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მიენდოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას გაითვალისწინოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ხუთწლიან გეგმაში:

ა) რათა ხუთი წლის ბოლოსთვის მრეწველობაში ინჟენერთა პროცენტი გადიდებულ იქნეს ერთი-ორად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) რათა ამისათვის დაწესებულ იქნეს უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეთა სათანადო კონტინგენტი და აგრეთვე რათა ტეხნიკუმების ქსელი და მათში მოსწავლეთა კონტინგენტები გაფართოებულ იქნეს ისე, რომ ხუთი წლის ბოლოსთვის მრეწველობაში მყოფ თითო ინჟენერზე მოდიოდეს არა ნაკლებ ორი ტეხნიკოსისა.

შენიშვნა. შემდეგ ხუთწლედში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მრეწველობაში ინჟენერ-ტეხნიკოსთა პერსონალის ხვედრითი წონის კვლავ გადიდება.

2. დაეკალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიიღოს ღონისძიება მეცნიერულად მომზადებულ ტეხნიკური ძალების სისტემატიური გადიდებისათვის იმ პირთა შორის, რომელთაც უპირავთ საინჟენერო თანამდებობანი; თანაც თვალსაჩინოდ გააფართოოს პრაქტიკოსთა ხელახალი მომზადების საქმე განსაკუთრებით ძუშებში.

3. ეკონომიის განხორციელება საწარმოში ინჟენერ-ტეხნიკოსთა პერსონალის შემცირებით არ შეიძლება. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შეიმუშაოს ღონისძიებანი საწარმოში მომუშავე ინჟენერ-ტეხნიკოსთა პერსონალისათვის უფრო უკეთესი პირობების შესაქმნელად, განსაკუთრებით მაზრებში.

4. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, შეიმუშაოს ერთი თვის ვადაზე გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) და განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გეგმა ტეხნიკურ სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების მიმაგრებისა სათანადო მსხვილ საწარმოზე, ტრესტზე, მთავარ სამმართველოზე, დირექტორზე და სხვ., იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს აღნიშნულ ორგანოებისა და სათანადო პროფესიონალური კავშირების გადამწყვეტი გავლენა სწავლების დაყენების საქმეზე.

კერძოდ, ტფილისის სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში პროფესორების დანიშვნას განათლების სახალხო კომისარიატი აწარმოებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) შეთანხმებით—კუთვნილებისამებრ.

5. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და გზათა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მყოფ ტეხნიკურ სასწავლებლების მიმართ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს ეკუთვნის პროგრამულ-მეთოდიური ხელმძღვანელობა, ხოლო პროფესიონალურ კავშირებს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს აქტიური მონაწილეობა ამ სასწავლებელთა ხელმძღვანელობაში.

6. საჭიროდ იქნეს ცნობილი—სპეციალისტების საერთო მომზადებაში წარმოებითი სწავლების როლის ყოველმხრივი გაძლიერება და, ამასთან ერთად მათი სამეცნიერო-თეორეტიული მომზადების წარმატება. განათლების სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მთვალეობას უნდა შეადგენდეს სისტემატიური თვალყურის დევნება, რათა წარმოებითი და თეორეტიული სწავლება სათანადოდ იქნეს ერთი მეორესთან შეფარდებული და რათა მათ შორის ისეთი კავშირი დამყარდეს, რომ წარმოები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი სწავლება განმტკიცებდეს შეძენილ თეორეტიულ ცოდნას და ეს ცოდნა დაუყოვნებლივ პრაქტიკაში გამოიყენებოდეს.

7. ისეთი სეციალისტების მოსამზადებლად, რომელნიც მეცნიერებისა და ტეხნიკის უახლოეს მიღწევათა დონეზე უნდა იდგენ და რომელთაც უნდა შესძლონ აქტიური მონაწილეობა სოციალისტური რაციონალიზაციის განხორციელებაში, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს იხმაროს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) თანდათანობით გადათვალიერებულ იქნეს, სათადო სამეურნეო ორგანოებისა და პროფესიონალური კავშირების მონაწილეობით, უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების სასწავლო გეგმები და პროგრამები, რათა ეს სასწავლებლები და ტეხნიკუმები დაუახლოვდნენ წარმოების მოთხოვნილებათ მეცნიერებისა და ტეხნიკის მიღწევათა საფუძველზე;

ბ) თვალსაჩინოდ გადიდდეს მასწავლებელთა და პროფესორთა კადრი, რომელნიც მთლად, შეუთავსებლად, უნდა მიეცნენ სამეცნიერო და სამასწავლებლო საქმეს და სისტემატიურად აამაღლონ თავიანთი სამეცნიერო კვალიფიკაცია; აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს მათი სამეცნიერო ნაშრომების ბეჭდვა, საზღვარგარეულ წარვლინება და სხვ.

გ) გაფართოვდეს მეცნიერების დარგის ახალგაზრდა მომუშავეთა (ასპირანტების) კადრი, ძირითადად გაუმჯობესდეს მათი შერჩევისა და სამეცნიერო მუშაობის ხელმძღვანელობის საქმე და აგრეთვე მათი მატერიალური მდგომარეობის პირობები—თანახმად სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის ივლისის 27-ს დადგენილებისა „ტეხნიკური განათლების დაფინანსების გაძლიერებისა და სტუდენტების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ. 1928 წ. 46 №-ში, მუხლი 410);

დ) გაფართოვდეს საწარმოში მომუშავე ინჟენერთა და ტეხნიკოსთა კადრისათვის შესაძლებლობა სპეციალური კვალიფიკაციის ამაღლებისა და საბჭოთა და უცხოეთის წარმოების უახლოეს მიღწევათა გაცნობისათვის;

ე) მოწვეულ იქნენ ლექციების წასაკითხავად უცხოეთის გამოჩენილი სპეციალისტები და სისტემატიურად გამოიცეს ტეხნიკის დარგში უცხოეთის ძირითადი სახელმძღვანელოების თარგმნები;

ვ) განახლდეს და შეივსოს გაწყობილობა, გაიაფდეს სასწავლო წიგნები და სისტემატიურად მიეწოდოს ბიბლიოთეკებს უახლესი ტეხნიკური ლიტერატურა რისთვისაც, კერძოდ, გაძლიერებულ იქნეს გაწყობილობისა და ლიტერატურის უცხოეთიდან შემოტანა;

ზ) უზრუნველყოფილ იქნეს სამეცნიერო-ტეხნიკური ჟურნალების განვითარება და გამოიცეს სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების ნაშრომები;

თ) დაწესდეს უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებელთა სტუდენტებისათვის ერთერთი უცხო ენის სავალდებულო ცოდნა;

ი) მიღებულ იქნეს ღონისძიება, რათა სათანადო სიმაღლეზე იდგეს პოლიტიკური ეკონომიის სწავლება უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებსა და ტეხნიკუმებში; შეიზღუდოს საზოგადოებრივი მეცნიერების საერთო კურსების რიცხვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შემოღებულ იქნეს მრეწველობის სათანადო დარგის კონკრეტული ეკონომიკის სწავლება.

8. მიღებულ იქნეს ღონისძიება, რათა მოსწავლეების ყოფნის დრო სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში და ტეხნიკუმებში არ აღემატებოდეს 7 და 5 წელს თითოეულში—კუთვნილებისამებრ.

9. დაეკალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შეიმუშაოს, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) შეთანხმებით, მათ გამგებლობაში მყოფ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების გამოყენების გეგმა უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების სასწავლო მუშაობისათვის; აგრეთვე შეიმუშაოს, განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების გამოყენების გეგმა სამეურნეო ორგანოთა ტეხნიკურ დაკვეთების დასამუშავებლად.

10. უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლების და ტეხნიკუმების მოსწავლეების პრაქტიკაზე გაგზავნა სწარმოებდეს ისე, რომ საერთო ხანგრძლივობა თვითეული მოსწავლის წარმოებითი პრაქტიკისა, სწავლების დროის განმავლობაში, იყოს არა ნაკლებ 10 თვისა.

წარმოებითი პრაქტიკის საერთო ხელმძღვანელობა დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) და განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

11. სტაჟიორების სისტემა შეიცვალოს ისე, რომ სამეურნეო ორგანოებისათვის სავალდებულო იყოს უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების კურსდამთავრებულთა მუდმივ სამუშაოზე მოთავსება.

12. უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების კურსდამთავრებულთა განაწილებას უნდა აწარმოებდნენ სათანადო სამეურნეო სახალხო კომისარიატები, პროფესიონალური კავშირებისა და შრომისა და განათლების სახალხო კომისარიატების მონაწილეობით, სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული განაწილების ზოგადი გეგმის საფუძველზე.

13. უმაღლესი ტეხნიკური სასწავლების ან ტეხნიკუმის თვითეული კურსდამთავრებულისათვის დაწესდეს სავალდებულო სამწლიანი ვადა წარმოებაში მუშაობისა, სათანადო სამეურნეო ორგანოს განკარგულებით.

14. სამეურნეო სახალხო კომისარიატებში და დიდ ტრესტებში სპეციალისტების შერჩევისა, მათი მომზადებისა, კონტროლისა, დაწინაურებისა და გამოყენების საქმე უნდა მიენდოს, როგორც ძირითადი სამუშაო, კოლეგიის ან გამგეობის ერთ-ერთ წევრს.

სათანადო მთავარსამმართველოსა და დირექტორიატში აღნიშნული მოვალეობა უნდა დაეკისროს ერთ-ერთ ხელმძღვანელ მომუშავეთაგანს.

15. საჭიროდ იქნეს ცნობილი ახალგაზრდა სპეციალისტთა საზღვარგარეთ წარვლინებათა რიცხვის გადიდება.

16. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს:

ა) უზრუნველჰყოს უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებსა და ტეხნიკუმებში მუშური ფუძის შემდგომი გადიდება ისე, რომ 1929 წელს მუშები და მუშის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილები შეადგენდნენ უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში მიღებულთა საერთო რიცხვის 65%-ზე არა ნაკლებს;

ბ) უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში მუშებისა და მათი შვილების მიზანებად მომზადებისათვის მოეწყოს კურსები უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებთან;

ზ) მიიღოს ღონისძიება მეორე საფეხურის სკოლებისა და მუშათა ფაკულტეტების დონის ასამაღლებლად იმდენად, რომ მათში კურსდამთავრებულნი სავსებით მომზადებულ იყვენ უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში შესასვლელად.

დ) შეუდგეს შვიდწლედების და ცხრაწლედების ქსელის გაფართოებას მუშათა რაიონებში და ამასთანავე უზრუნველჰყოს მათთვის გაუმჯობესებული მატერიალური პირობები და აგრეთვე ამ ქსელით უმთავრესად მუშათა ბავშვების შემოკრება.

17. მიენდოს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს ორი თვის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი, რაც შეტანილ უნდა იქნეს საქართველოს სსრ კანონმდებლობაში, და ეს საკითხი წინასწარ შეუთანხმოს დაინტერესებულ უწყებათ.

სრულიად საქართ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1929 აპრილის 3.
ტფილისი—სასახლე.

---

81. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა უკიდურესი განაკვეთების შესახებ.

ა/კსფსრ-ის ადგილობრივი ფინანსების დებულების 57 მუხლის თანახმად და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წლის თებერვლის 9-ს დადგენილების (ოქმი № 5 § 3) შესაცვლელად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. უფლება მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს ადგილობრივი სახსარის გასაძლიერებლად, ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 27 მუხლით გათვალისწინებული გადასახადების და გამოსაღებების გარდა, დააწესონ და გადაახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევინონ ქვემოდ ჩამოთვლილი ადგილობრივი გადასახადები და გამოსაღებები შემდეგი უკიდურესი განაკვეთებით:

№№ რიგზე	ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების სახელწოდება.	უკიდურესი განაკვეთი ფასებით	უკიდურესი განაკვეთი %%-ით
1	გადასახადი სატრანსპორტო საშუალებაზე:		
	1. თითო შესაბმელ ცხენზე წელიწადში:		
	ა) ტფილისში	100	—
	ბ) სოხუმში, ბათომში, ქუთაისში, ახალციხეში და აბასთუმანში	60	—
	გ) დანარჩენ ქალაქ-ადგილებში	40	—
	დ) ქალაქ-გარე ადგილებში	20	—
	შენიშვნა. ა) გადასახადი მუშა ცხენზე არ უნდა აღემატებოდეს შესაბმელ ცხენზე დაწესებული გადასახადის განაკვეთის 50%-ს.		
	ბ) გადასახადი შესაბმელ ცხენზე, რომელიც სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებას ეკუთვნის, არ უნდა აღემატებოდეს ნორმალური განაკვეთის 50%-ს.		
	გ) გადასახადის გადახდევინება შეიძლება მხოლოდ ისეთი ცხენისათვის, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრება.		
	2. მსუბუქი ავტომობილის და მოტორიანი ნავეურჯლის თითო ცხენის ძალაზე წელიწადში:		
	ა) ტფილისში	16	—
	ბ) დანარჩენ ადგილებში	12	—
	3. სატვირთო ავტომობილისა და მოტოციკლეტის თითო ცხენის ძალაზე წელიწადში:		
	ა) ტფილისში	8	—
	ბ) დანარჩენ ადგილებში	6	—
	4. თითო ველოსიპედზე წელიწადში:		
	ა) ტფილისში	10	—
	ბ) ქუთაისში, ბათომში და სოხუმში	8	—
	გ) დანარჩენ ქალ.-ადგილებში	4	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე	ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების სახელწოდება.	ეკიდრუნეს ნაკვეთი მანეთობით	ეკიდრუნეს ნაკვეთი ოფლობით
	5. თითო სამგზავრო ნავზე წელიწადში:		
	ა) ტფილისში, ბათომში, სოხუმში, ოჩემჩირეში და სააგარაკო ადგილას	10	—
	ბ) დანარჩენ ადგილებში	5	—
	6. თითო ბორანზე, იახტაზე და სატვირთო ნავზე წელიწადში:		
	ა) ტფილისში	60	—
	ბ) დანარჩენ ქალ.-ადგილებში	30	—
	გ) ქალაქ-გარე ადგილებში	10	—
2	მსხვილფეხა საქონლის (ხარი, ძროხა, კამეჩი, ვირი, ჯორი, აქლემი) გადასახადი თითო სულზე წელიწადში:		
	ა) ტფილისში	12	—
	ბ) დანარჩენ ქალ.-ადგილებში	6	—
3	გადასახადი სანახაობებზე:		
	1. სიმფონიური საღამოები, დრამატიული, საოპერო (კომიკური ოპერაც), საბალეტო წარმოდგენები, სამხატვრო და სხვა ამგვარი გამოფენა—არა უმეტეს ბილეთის ფასის	—	5
	2. კონცერტები, მუსიკალური და ლიტერატურული დილა და საღამოები—არა უმეტეს ბილეთის ფასის	—	10
	3. სასპორტო შეჯიბრება, საზოგადოებრივი თამაში, ცირკი, მექანიკური თეატრი (კინემატოგრაფის გამოკლებით)—არა უმეტეს ბილეთის ფასის . . .	—	15
	4. კინემატოგრაფი—არა უმეტეს ბილეთის ფასის . .	—	25
	5. მსუბუქი ხასიათის სანახაობა (კაბარე, ოპერეტი, ფარსი და სხვა) უსაჭმელ-სასმელოდ—არა უმეტეს ბილეთის ფასის	—	50
	6. მსუბუქი ხასიათის სანახაობა საჭმელ-სასმელით, დღეი, საცეკვავო საღამო და მასკარადი—არა უმეტეს ბილეთის ფასის	—	100

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე	ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების სახელწოდება.	უკიდურესი განაკვეთი ფასებით	უკიდურესი განაკვეთი %%-ებით
4	გადასახადი პლაკატებზე, აფიშებზე და განცხადებებზე ქალაქ-ადგილებში:		
	1. მოკლე ვადიანი (არა უმეტეს 15 დღისა) პლაკატებზე და აფიშაზე 1.000 ცალამდე,—4,5 კვად. სანტიმეტრზე:		
	ა) ტფილისში	0,04	—
	ბ) დანარჩენ ქალ.-ადგილებში	0,02	—
	2. მუდმივ რეკლამაზე (15 დღეზე მეტი ხნით), მასთან განათებულ რეკლამაზედაც—რეკლამის 0,7 კვადრ. მეტრზე:		
	ა) ტფილისში	1	—
	ბ) დანარჩენ ქალ.-ადგილებში	0,50	—
	შენიშვნა. უკეთუ დაბეჭდილი, გაკრული და გამოკიდული მუდმივი რეკლამის რაოდენობა 100 ცალს არ აღემატება გადასახადი შემცირებულ უნდა იქნეს ხუთჯერ.		
	3. განცხადებისათვის—არა უმეტეს განცხადების ფასის	—	10
5	გადასახადი საჯარო ვაჭრობით გაყიდულ ქონებაზე ქალაქებში არა უმეტეს ქონების გაყიდვით აღებული ფასის	—	5
6	საჩასაწერო გამოსაღები ქალაქებში თვითეული პირის მოწმობის ჩაწერისათვის:		
	1. მუშა-მოსამსახურეთათვის:		
	ა) ტფილისში	0,20	—
	ბ) დანარჩენ ქალ.-ადგილებში	0,10	—
	2. გლეხებისა, შინამრეწველებისა და თავისუფალი პროფესიის პირთათვის:		
	ა) ტფილისში	0,40	—
	ბ) დანარჩენ ქალ.-ადგილებში	0,20	—
	3. დანარჩენ პირთათვის:		
	ა) ტფილისში	2	—
	ბ) დანარჩენ ქალ.-ადგილებში	1	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე	ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების სახელწოდება.	უკიდურესი განაკვეთი ფასებითი	უკიდურესი განაკვეთი %%-ებით
7	რესტორანებში და სასტუმროებში წარდგენილი ანგარიშების გამოსაღები.		
	1. უკეთუ რესტორანსა და სასადილოში წარდგენილი ანგარიშის თანხა აღემატება თითო მომხმარებელზე 1 მან. 50 კაპიკს—აღნიშნული ანგარიშის თანხის არა უმეტეს	—	15
	2. სასტუმროებში წარდგენილ ანგარიშზე:		
	ა) ტფილისში, უკეთუ ანგარიშის თანხა 5 მან. აღემატება, არა უმეტეს ანგარიშის თანხის . . .	—	15
	ბ) დანარჩენ ადგილებში, უკეთუ ანგარიშის თანხა 3 მან. აღემატება—არა უმეტეს ანგარიშის თანხის	—	15
	შენიშვნა. გადასახადი რესტორანებში წარდგენილ ანგარიშზე შემოღებულია ყველა იმ რესტორანსა და სასადილოში, სადაც ადგილობრივ ილევა ღვინო და სხვა მაგარი სასმელი, აგრეთვე ყველა სასტუმროშიც.		
8	ერთგზობითი გადასახადი მოძრავ ვაჭრობისათვის:		
	1. თაბახით, კალათით ან სხვა რაიმე ჭურჭლით ვაჭრობისათვის—დღეში არა უმეტეს:		
	ა) ტფილისში	0,18	—
	ბ) ბათომში	0,15	—
	გ) ქუთაისსა, ფოთში, სოხუმში	0,12	—
	დ) დანარჩენ ქალ.-ადგილებში	0,09	—
	ვ) სოფლად	0,06	—
	2. საზიდავზე (ურემი, ტელეეკა და სხვ.) ვაჭრობისათვის—დღეში არა უმეტეს:		
	ა) ტფილისში	0,48	—
	ბ) ბათომში	0,40	—
	გ) ქუთაისსა, ფოთში, სოხუმში	0,32	—
	დ) დანარჩენ ქალ.-ადგილებში	0,24	—
	ვ) სოფლად	0,16	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგზე	ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების სახელწოდება	ფიზიკურებსა ფასანაგები მანეთობით	ფიზიკურებსა ფასანაგები % % %
	3. გასასყიდად მორეკილ საქონელზე — ღღეში არა უმეტეს:		
	ა) ტფილისში	0,72	—
	ბ) ბათომში	0,60	—
	გ) ქუთაისსა, ფოთში, სოხუმში	0,48	—
	დ) დანარჩენ ქალ.-ადგილებში	0,36	—
	ვ) სოფლად	0,24	—
	შენიშვნა. ერთგზობითი გამოსაღებისაგან განთავისუფლებულ არიან ის გლეხები, რომელნიც ბაზარში ჰყიდიან თავიანთ ნაკეთობას და მოერეკებიან გასაყიდად საკუთარ საქონელს.		

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1929 წლ. აპრილის 3.
ტფილისი—სასახლე.

---

82. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამანეგრო საბინაო ფონდის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საბინაო პოლიტიკის შესახებ 1928 წლის იანვრის 4-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრებ. 1928 წ. № 6, მუხ. 49) მე-16 მუხლის „ბ“, „გ“ და „ე“ პუნქტის საფუძველზე—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაარსებულ იქნეს ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში სამანეერო საბინაო ფონდი: ა) საცხოვრებელი შენობებისაგან, რაც ახლად აღებულ იქნება საქალაქო საბჭოს და მისი თანაბარი საბჭოს მიერ და ბ) ამ მიზნისათვის გამოყოფილი მუნიციპალიზებული შენობებისაგან.

შენიშვნა. სამანეერო საბინაო ფონდი აუცილებლად უნდა შეიქმნას ქ. ტფილისსა, ქუთაისსა, ბათომსა, სოხუმსა, ფოთსა, გორსა და ჭიათურაში, ხოლო დანარჩენ ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში აღნიშნული ფონდი მოეწყობა სათანადო ადგილობრივი საბჭოს დადგენილებით.

2. სამანეერო საბინაო ფონდი სათანადო საქალაქო საბჭოს (ხოლო, სადაც საქალაქო საბჭო არ არის—სათემო საბჭოს) განკარგულებაშია და იგი განაგებს მას: ა) ან უშუალო ექსპლოატაციის პრინციპზე—კომუნალური მეურნეობის ორგანოთა მეშვეობით, ბ) ან სახლთა ტრესტების მოწყობით.

3. საცხოვრებელი შენობის სამანეერო საბინაო ფონდის შედგენილობაში გადაცემა სწარმოებს საქალაქო საბჭოს (ხოლო, სადაც საქალაქო საბჭო არ არის,—მისი თანაბარი ორგანოს) პრეზიდიუმის სპეციალური დადგენილებით.

4. სამანეერო საბინაო ფონდის სახლში საცხოვრებელი სადგომის (ბინის, ოთახის) გაქირავება სწარმოებს ცალკე დამქირავებელთან ინდივიდუალური ხელშეკრულების დადების საშუალებით, რომელ ხელშეკრულებაშიაც გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) ვადა საცხოვრებელი სადგომის დაქირავებისა და ვადა წინასწარ გაფრთხილებისა ხელშეკრულების განგრძობაზე უარის თქმის შესახებ (მუხ. მე-5) და აგრეთვე შედეგი წინასწარ გაუფრთხილებლობისა ქირავნობის ხელშეკრულების განგრძობაზე უარის თქმის შესახებ;

ბ) ბინის ქირის რაოდენობა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 166 მუხლით დადგენილი წესების დაცვით;

გ) დამქირავებლისა და სახლის სამოურაოს მოვალეობის ფარგლებში საცხოვრებელი სადგომის მომსახურეობისა, წესიერად შენახვისა, რემონტის წარმოებისა, საერთო სარგებლობის ადგილების სუფთად შენახვისა და სხვ. სფეროში;

დ) დამქირავებლის პასუხისმგებლობა დაქირავებული სადგომების წესიერად შენახვის სფეროში;

ე) შესაძლებლობა დამქირავებლის ვადამდე გამოსახლებისა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი არაკეთილსინდისიერად შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას სადგომების წესიერად შენახვის სფეროში ან არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებას;

ვ) დამქირავებლის მოვალეობა—გაანთავისუფლოს დაჭერილი სადგომი დაქირავების ვადის გასვლისას, და ვადა ამ შემთხვევაში დამქირავებლის წინასწარ გაფრთხილებისა გამოსახლების შესახებ (მუხ. მე-5);

ზ) აკრძალვა სადგომის სხვა პირისათვის მიქირავებისა.

5. ამა დადგენილების მე-4 მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული ვადა სამანეერო საბინაო ფონდის სახლში საცხოვრებელი სადგომის დაქირავების სასეზონო და დროებითი მომუშავეებისა და მოსამსახურეებისათვის უნდა ეთანხმე-

ბოდეს იმ ვადას, რომლითაც აღნიშნული პირნი დაქირავებული არიან, ხოლო ყველა დანარჩენი კატეგორიის მუშა-მოსამსახურეებისათვის ეს ვადა ექვს თვეზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ვადა წინასწარ გაფრთხილებისა ქირავნობის ხელშეკრულების განგრძობაზე უარის თქმის შესახებ არ შეიძლება ერთ თვეზე ნაკლები იყოს, ხოლო სასეზონო და დროებითი მუშა-მოსამსახურეებისათვის—ორ კვირაზე ნაკლები.

6. სამანეერო საბინაო ფონდის სახლში სადგომის დაქირავების ხელშეკრულებაზე, რაც დადებული იქნება ამა დადგენილების მე-4 და მე-5 მუხლით გათვალისწინებული წესის მიხედვით, არ გავრცელდება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 156 მუხლის მოქმედება.

7. სამანეერო საბინაო ფონდის სახლში მცხოვრები პირი მას შემდეგ, რაც ხელშეკრულების მოქმედების ვადა გავა და ხელშეკრულების განგრძობაზე უარის თქმის შესახებ წინასწარი გაფრთხილების ვადა გათავდება და აგრეთვე ხელშეკრულების ის პირობები დადგება, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილების მე-4 მუხლის „ე“ პუნქტში,—გამოსახლებულ უნდა იქნეს დაქირავილი სადგომიდან სასამართლოს წესით; ამასთანავე აღნიშნული პირისათვის გამოსახლების დროს საცხოვრებელი სივრცის მიცემა სავალდებულო არ არის.

შენიშვნა 1. ის პირი, ვინც კანონიერად ჩასახლდა სახლში, ვიდრე ეს სახლი მუნიციპალურ საბინაო ფონდში გადავიდოდა, შეიძლება გამოსახლებულ იქნეს ადმინისტრატიული წესით, ხოლო იმ პირის მიმართ ვიზედაც ვრცელდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მოქალაქეთაგან დაქირავილი სადგომებიდან მათი ადმინისტრატიული წესით გამოსახლების შესახებ 1927 წლის მარტის 20-ის თარიღით გამოცემული დეკრეტის (სამოქ. სამართლის კოდექსის 172 მუხლის დანართი: საქართველოს სსრ კან. კრებ. 1927 წ. № 3, მუხ. 53) მე-5 მუხლის მოქმედება,—დაცულ იქნეს ხსენებული დეკრეტის მე-4 და მე-6 მუხლში და მე-5 მუხლის 1-ლ შენიშვნაში გათვალისწინებული წესები, როდესაც აღნიშნულ პირთან დადებულია ხელშეკრულება ამა დადგენილების მე-4 მუხლის წესისამებრ,—მისი გამოსახლება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ მას საცხოვრებლად გამოსადეგი სივრცე მიეცემა.

შენიშვნა 2. სამანეერო საბინაო ფონდის სახლიდან გამოსახლება შრომისა და ომის ინვალიდებისა, იმ პირებისა, რომელთაც დაჰკარგეს შრომის უნარი ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო, უმუშევრებისა, იმ პირებისა, რომელთაც დაჰკარგეს საშოვარი რაციონალიზაციის წესით მასიური შემცირების გამო და ზემოაღნიშნულ პირთა ოჯახის წევრებისა და აგრეთვე იმ პირთა ოჯახის წევრებისა, რომელნიც გაწვეულ არიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში,—შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ მათ მიეცემათ საცხოვრებლად გამოსადეგი სივრცე.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შეიმუშაოს და გაუგზავნოს სახელმძღვანელოდ ადგილობრივ საბჭოებს ტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიური ხელშეკრულება სამანვერო საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომების გაქირავების შესახებ.

9. ამა დადგენილების მოქმედება გავრცელებულ იქნეს აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტონომიური სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1929 წ. აპრილის 3.
ტფილისი—სასახლე.

---

83. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამ. სამ. კოდ. 72 მუხ. შენიშვნისა და 90, 103, 105, 182[3] და 185 მუხლების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების 2 მუხ. წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამ. სამ. კოდ. 72 მუხლის შენიშვნა და 90, 103, 105, 182[3] და 185 მუხლები შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**72 მუხ. შენიშვნა.** ხელშეკრულების დამოწმების შემდეგ სანოტარო ორგანო ჰგზავნის მის ასლს რეგისტრაციისათვის სათანადო სანოტარო არქივში“.

„მუხ. 90. გირავნობის ხელშეკრულება დადებულ უნდა იქნეს წერილობით. ბრუნვაში მოქცეული საქონლის გირავნობის ხელშეკრულება, ბათილობის რიდით, დამოწმებულ უნდა იქნეს სანოტარო წესით. შენობისა და აღნაგობის უფლების დაგირავება, ბათილობის რიდით, დამოწმებულ უნდა იქნეს სანოტარო წესისამებრ, ხოლო შემდეგ გატარებულ სანოტარო არქივის რეგისტრაციაში. შენობისა და აღნაგობის უფლების გირავნობის ხელშეკრულების შინაარსს სანოტარო არქივი აცნობებს სათანადო კომუნალურ განყოფილებას“.

„მუხ. 103. გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნის გადაცემასთან ერთად ახალ კრედიტორზე გადადის გირავნობის უფლებაც. იმ მოთხოვნის გადაცემა რაც უზრუნველყოფილია შენობის ან აღნაგობის უფლების დაგირავებით, მოთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება გირავნობის ხელშეკრულების გადაცემით; თანაც ამ გირავნობის ხელშეკრულებას გაუკეთდება სანოტარო წესით დამოწმებული გადაცემის წარწერა. ასეთ გადაცემას სანოტარო კონტორა აცნობებს რეგისტრაციაში გასატარებლად სანოტარო არქივს და სათანადო კომუნალურ ვანყოფილებას.

დანარჩენ შემთხვევაში მოთხოვნა გადაიცემა წარწერით გირავნობის ხელშეკრულებაზე და აგრეთვე დაგირავებული ქონების გადაცემით იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი გედაცემა საჭიროა გირავნობის უფლების წარმოშობისათვის (92 და 93 მუხ.).

გირავნობის უფლების გადაცემა უნდა ეცნობოს მოვალეს და დამგირავებელს".

„მუხ. 105. შენობისა და აღნაგობის უფლების გირავნობის მოსპობა, დაინტერესებული პირის მოთხოვნით, უნდა აღინიშნოს გარიგების ძირითად ცალზე, რომელიც დაიტოვება სანოტარო კანტორაში. სანოტარო კანტორა გირავნობის მოსპობას აცნობებს რეგისტრაციისათვის სანოტარო არქივს და სათანადო კომუნალურ განყოფილებას.

უკეთუ გირავნობა მოისპობა გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოსპობის გამო, დაგირავებული ქონება, რაც მოგირავნის ხელშია, ამ უკანასკნელმა უნდა დაუბრუნოს დამგირავებელს ან გადასცეს შემდეგ მოგირავნეს უფროსობის მიხედვით (მუხ. 94)".

„მუხ. 182[3]. წინასწარი სანასყიდო სიგელის ქმნა, აგრეთვე მისი მოქმედების მოსპობა, დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნით, გატარებულ უნდა იქნეს სანოტარო არქივის რეგისტრაციაში. გარიგების შინაარსი ან მისი მოქმედების მოსპობა სანოტარო არქივმა უნდა აცნობოს სათანადო კომუნალურ განყოფილებას".

„მუხ. 185. შენობის და აღნაგობის უფლების ნასყიდობა, ბათილობის რიდით, დამოწმებულ უნდა იქნეს სანოტარო წესისამებრ, ხოლო შემდეგ აუცილებლად გატარებული სანოტარო არქივის რეგისტრაციაში. აღნიშნული აქტების შინაარსს სანოტარო არქივი აცნობებს სათანადო კომუნალურ განყოფილებას".

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. აპრილის 18.
ტფილისი—სასახლე.

---

84. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

მილიციისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის მომუშავეთათვის ნამსახურობის მიხედვით შრომის ხელფასის პერიოდული მომატების შესახებ.

რათა მილიციისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის ორგანოები უზრუნველყოფილ იქნენ გამოცდილი პირადი შედგენილობით, სრულიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს უმცროსი მილიციელებისა, სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის აგენტებისა და მილიციის (გარე-მილიციისა, საუწყებო და მაძიებელი მილიციის) უმცროს და საშუალო მეთაურთა შედგენილობისათვის ნამსახურობის მიხედვით სამუშაო ხელფასის სამი პერიოდული მომატება შემდეგი რაოდენობით: მილიციაში სამი წლის განუწყვეტელივ სამსახურისათვის—სათანადო თანამდებობის ძირითადი ჯამაგირის 10%, ექვსი წლის სამსახურისათვის—20%, ხოლო 9 წლის სამსახურისათვის—30%.

შენიშვნა 1. აღნიშნული მომატება არ გავრცელდება ზემოხსენებულ ჯგუფებში იმ პირებზე, რომელნიც იღებენ უწყებული ადგილის პასუხისმგებელ მომუშაევთა ტარიფის უმაღლეს განაკვეთს.

შენიშვნა 2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული მომატების მიღების უფლება აქვთ იმ პირთ, ვინც მილიციისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის სამსახურში შესულია 1921 წლის თებერვლის 25-ს შემდეგ.

2. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1929 წლის ოქტომბრის 1-დან.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. აპრილის 18.
ტფილისი—სასახლე.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

85. დ ა დ გ ე ნ ი ლ ებ ა ც. ა. კ.

(სრულიად საქართველოს მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-5 სესიისა).

სისხლის სამართლის კოდექსის იმ ცვლილებებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დადგენილებანი სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებისა და დამატების შესახებ, რაც, სრულიად საქართველოს საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ კოდექსებში ცვლილებათა შეტანის წესის თაობაზე 1924 წ. მარტის 10 თარიღითა და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების (კან. კრებ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 7) მე-2 მუხლისამებრ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა:

1. 1928 წ. აგვისტოს 1-ის თარიღისა და 68 №-ისა—111 მუხლისათვის მე-3 ნაწილისა და 114 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ (კან. კრებ. 1928 წ. მე-15 №-რი, მუხ. 139);

2. 1928 წ. აგვისტოს 29-ის თარიღისა და 71 №-ისა—60,61 და 63 მუხლების შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1928 წ. მე-14 №-რი, მუხ. 132);

3. 1928 წ. აგვისტოს 29-ის თარიღისა და 73 №-ისა— იმ საგნების ნუსხის შევსების შესახებ, რაც კონფისკაციით მსჯავრდებულს არ ჩამოერთმევა (39 მუხ. დანართი) (კან. კრებ. 1928 წ. მე-14 №-რი, მუხ. 133);

4. 1928 წ. დეკემბრის 10-ის თარიღისა და 95 №-ისა—30 [1] და 30 [2] მუხლების დამატებისა და 28 მუხლის 1 და 2 შენიშვნებისა, 30 მუხლის 1 შენიშვნისა და 58 [19] მუხ. შენიშვნის გაუქმების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 5);

5. 1928 წ. დეკემბრის 10 თარიღისა და 96 №-ისა—157 მუხლისათვის მე-2 ნაწილის დამატების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 6);

6. 1928 წ. დეკემბრის 18-ის თარიღისა და 103 №-ისა—115 და 118 მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. მე-2 №-რი, მუხ. 21).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1929 წ. მარტის 1.
ტფილისი—სასახლე.

---

86. დადგენილება ც. ა. კ.

(სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-5 სესიის).

სამოქალაქო სამართლის კოდექსის იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დადგენილებანი სამოქალაქო სამართლის კოდექსის ცვლილებისა და დამატების შესახებ, რაც, სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიის მიერ კოდექსებში ცვლილებათა შეტანის წესის თაობაზე 1924 წ. მარტის 10 თარიღითა და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების (კან. კრებ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 7) მე-2 მუხლისამებრ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა:

1) 1928 წ. მაისის 30 თარიღისა და 39 №-ისა—71 მუხლისათვის მე-3 შენიშვნის დამატების შესახებ (კან. კრებ. 1928 წ. მე-9 №-რი, მუხ. 75);

2) 1928 წ. ივლისის 18 თარიღისა და 58 №-ისა—34 მუხლის ქართული ტექსტის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1928 წ. მე-13 №-რი, მუხ. 124);

3) 1928 წ. ივლისის 18 თარიღისა და 65 №-ისა სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 415[1] მუხლის დამატებისა და ამავე კოდექსის 101 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ (კან. კრებ. 1928 წ. მე-14 №-რი, მუხ. 129);

4) 1928 წ. დეკემბრის 1 თარიღისა და 97 №-ისა—101 მუხლის შენიშვნებითურთ შეცვლისა და შევსების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 7);

5) 1928 წ. დეკემბრის 10 თარიღისა და 98 №-ისა—71 მუხლის მე-3 შენიშვნის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 8);

6) 1929 წ. იანვრის 30 თარიღისა—172 მუხლის დანართის (მოქალაქეთა ადმინისტრატიული წესით გამოსახლების შესახებ მათ მიერ დაჭერილ სადგომებიდან) ზოგიერთი მუხლის შევსების და შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრუთებელ კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1929 წ. მარტის 1.
ტფილისი—სასახლე.

---

87. დადგენილება ც. ა. კ.

(სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-5 სესიისა).

მიწის კოდექსის იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. იანვრის 30-ს დადგენილება „მიწის კოდექსის შეცვლისა და შევსების შესახებ“ (კან. კრებ. 1929 წ. მე-3 №-რი, მუხ. 30), რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ კოდექსებში ცვლილებათა შეტანის წესის თაობაშე 1924 წ. მარტის 10 თარიღითა და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების (კან. კრებ. 1924 წ. 1-ლ №-რი, მუხ. 7) მე-2 მუხლისამებრ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1929 წლის მარტის 1.
ტფილისი—სასახლე.

---

88. დადგენილება ც. ა. კ.

(სრულიად საქართველოს მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-5 სესიისა).

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დადგენილებანი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებისა და დამატების შესახებ, რაც, სრულიად საქართველოს მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ კოდექსებში ცვლილებათა შეტანის წესის თაობაზე 1924 წ. მარტის 10 თარიღითა და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების (კან. კრებ. 1924 წლის 1-ლი №-რი, მუხ. 7) მე-2 მუხლისამებრ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა:

1) 1928 წ. აგვისტოს 29 თარიღისა და 72 №-ისა—1-ლი მუხლის შენიშვნის დანართის მე-7 და სხვ. მუხლების შეცვლისა და დამატების შესახებ (კან. კრებ. 1928 წ. მე-15 №-რი, მუხ. 140);

2) 1928 წ. დეკემბრის 10 თარიღისა და 94 №-რისა—1-ლი მუხ. შენიშვნის დანართისათვის 21 მუხლის დამატებისა და იმავე დანართის მე-20 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 4).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1929 წ. მარტის 1.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

89. დადგენილება ც. ა. კ.

(სრულიად საქართველოს მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-5 სესიისა).

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დადგენილებანი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებისა და დამატების შესახებ, რაც, სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ კოდექსებში ცვლილებათა შეტანის წესის თაობაზე 1924 წ. მარტის 10 თარიღითა და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების (კან. კრებული 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 7) მე-2 მუხლისამებრ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა:

1) 1928 წ. ივლისის 18 თარიღისა და მე-60 №-რისა—250-254 მუხ. შეცვლისა და სამოქალაქო სამართ. საპრ. კოდექსისათვის 254[1] და 254[2] მუხ. დამატების შესახებ (კან. კრებ. 1928 წ. მე-12 №-რი, მუხ. 117);

2) 1928 წ. ივლისის 18 თარიღისა და 69 №-რისა—271 მუხ. შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1928 წ. მე-14 №-რი, მუხ. 131);

3) 1928 წ. ნოემბრის 19 თარიღისა და 88 №-ისა—სახელმწიფო ნოტარიატის დებულების დამტკიცების შესახებ (კან. კრებ. 1928 წ. მე-16 №-რი, მუხ. 157);

4) 1928 წ. ნოემბრის 19 თარიღისა და 87 №-რისა—83, 187[2] და 266 მუხ. შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 1).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1929 წ. მარტის 1.
ტფილისი—სასახლე.

---

90. დადგენილება ც. ა. კ.

(სრულიად საქართველოს მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-5 სესიისა).

სასამართლოს წყობილების დებულების იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დადგენილებანი სასამართლოს წყობილების დებულების ცვლილებისა და დამატების შესახებ, რაც, სრულიად საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ კოდექსებში ცვლილებათა შეტანის წესის თაობაზე 1924 წ. მარტის 10 თარიღითა და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების (კან. კრებ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 7) მე-2 მუხლისამებრ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შეა:

1) 1928 წ. ნოემბრის 19 თარიღისა და 88 №-რისა—სახელმწიფო ნოტარიატის დებულების დამტკიცების შესახებ (კან. კრებ. 1928 წლის მე-16 №-რი, მუხლი 157);

2) 1929 წ. იანვრის 23 თარიღისა—სასამართლოს წყობილების დებულებისათვის 106[1] მუხლის დამატების შესახებ (კან. კრებ. 1929 წლის მე-3 №-რი, მუხლი 29).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1929 წ. მარტის 1.
ტფილისი—სასახლე.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

91. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

ნატახტარის წყალსადენის მშენებელი კომიტეტის („ნატახტკომის“) დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და დებულება ნატახტარის წყალსადენის მშენებელი კომიტეტის („ნატახტკომის“) შესახებ.

სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. თებერვლის 19.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ნატახტარის წყალსადენის მშენებელი კომიტეტის („ნატახტკომის“) შესახებ.

1. კომიტეტის („ნატახტკომის“) მიზანს შეადგენს ნატახტარის წყალსადენის აგება-მოწყობა და ასამუშავებლად მომზადება.

2. ამა დებულების პირველ მუხლში აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად „ნატახტკომს“ დაეკისრება:

ა) აღნიშნული წყალსადენის აშენებისა და მოწყობის სამუშაოების სამეურნეო, ნარდად და შერეული სახით წარმოება; წყალსადენის ასამუშავებლად მომზადება და ყველა ნაგებობის ტფილისის საბჭოს გამგებლობაში გადაცემა;

ბ) ტფილისის საბჭოს სპეციალური დავალებით სხვაგვარ ნაგებობათა და მოწყობილობათა შესრულება, უკეთუ ეს წყალსადენის აშენებასა და მოწყობასთან დაკავშირებით, საჭიროდ იქნება ცნობილი.

3. თავის სამუშაოს კომიტეტი ანხორციელებს სამუშაოთა სამმართველოს მეშვეობით, რომლის სათავეში სდგას სამუშაოთა უფროსი.

4. „ნატახტკომი“ და სამუშაოთა სამმართველო იმყოფებიან ტფილისში.

5. „ნატახტკომს“ აქვს თავისი სახელწოდების ბეჭედი. ამ ბეჭედს გამოიყენებს აგრეთვე სამუშაოთა სამმართველო.

6. „ნატახტკომს“ დაეკისრება:

ა) გაუწოოს საერთო მეთვალყურეობა წყალსადენის მშენებლობას და, კერძოდ, განსაზღვრული წესების მიხედვით დამტკიცებულ სამშენებლო გეგმების შესრულებას;

ბ) დაადასტუროს და დასამტკიცებლად წარადგინოს არსებული წესისამებრ სათანადო ორგანოებში: ნატახტარის წყალსადენის ძირითადი გეგმების პროექტები საერთო ფორმით, ნატახტარის წყალსადენის მთავარ ნაგებობათა შესრულების ძირითადი პირობები და ნაგებობათა გაწყობილობის ძირითადი ელემენტები, სამუშაოთა საერთო გეგმა, სამუშაოთა და „ნატახტკომის“ ყოველწლიური გეგმები, „ნატახტკომის“ დაფინანსების გეგმა, დასკვნითი ბალანსები და ანგარიშები, აგრეთვე დაამტკიცოს სამუშაოთა სამმართველოს მიერ დადებული გენერალური ხელშეკრულებები იმ შეკვეთებზე, რასაც მისცემს „ნატახტკომი“ როგორც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ მყოფ საწარმოთ;

გ) დასდოს ყველა გარიგება, რაც საჭიროა კომიტეტისა და მისი აპარატის ნორმალური მუშაობისათვის;

დ) დასდოს კანონით დაწესებულ ფარგლებში კოლექტიური ხელშეკრულებანი და პერსონალური შრომის ხელშეკრულებანი;

ე) განაგოს წყალსადენის ასაგებად გადადებული თანხების ფარგლებში „ნატახტკომის“ სახსარი;

ვ) წარუდგინოს ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტისა და საბჭოს პრეზიდიუმს როგორც კომიტეტისა, ისე სამუშაოთა სამმართველოს ყოველწლიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარჯთაღრიცხვების პროექტები, წლიური ანგარიშები, დამთავრებული ბალანსები და აგრეთვე მოხსენებები საქმის მდგომარეობისა და მუშაობის მსვლელობის შესახებ;

ზ) იქონიოს ურთიერთი მიმართვა თავისი გამგებლობის საგნების გამო ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებასთან და აგრეთვე კერძო პირებთან;

თ) ნება დართოს სამუშაოთა სამმართველოს დასდოს ხელშე ამა დებულების მე-17 მუხლის „ნ“ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულებანი, გარიგებანი და ვალდებულებანი, შეიძინოს ქონება და გასცეს თამასუქები და ვალდებულებები 16.000 მანეთზე მეტი რაოდენობით და დასდოს ნარდად მუშაობისა და ყიდვა-მიწოდების ხელშეკრულებანი 50.000 მანეთზე მეტი რაოდენობით;

ი) დამტკიცოს სამუშაოთა სამმართველოს შტატები და დანიშნოს მთავარი ბუხჰალტერი სამუშაოთა სამმართველოს წარდგენით.

7. კომიტეტის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და კომიტეტის წევრებს აარჩევს ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი.

8. კომიტეტის წევრების რიცხვს განსაზღვრავს ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტისა და საბჭოს პრეზიდიუმი.

9. კომიტეტის სხდომებს, საჭიროებისდამიხედვით, მოიწვევს კომიტეტის თავმჯდომარე ან, მისი არყოფნის დროს, ერთერთი მისი მოადგილე.

10. კომიტეტის სხდომა ჩაითვლება კანონიერად, უკეთუ მას დაესწრო არა ნაკლებ, ვიდრე კომიტეტის წევრთა რიცხვის ნახევარი.

შენიშვნა. უკეთუ კომიტეტის სხდომას მთავარი ინჟენერი არ დაესწრო, მის მოადგილეს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა ამ სხდომაში გადამწყვეტი ხმით.

11. კომიტეტის სხდომაზე ყველა საკითხი გადასწყდება ხმის მარტივი უმეტესობით; უკეთუ ხმები თანასწორ გაიყო, თავმჯდომარის ხმა გადასძლევს. იმ შემთხვევაში, როდესაც კომიტეტის თავმჯდომარე ან კომიტეტის ესა თუ ის წევრი არ იზიარებს კომიტეტის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებას, ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება განპროტესტებულ იქნეს ერთი კვირის ვადაზე ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტისა და საბჭოს პრეზიდიუმში, ხოლო ეს პროტესტი ვერ შეაჩერებს კომიტეტის გადაწყვეტილების განხორციელებას.

კომიტეტის სხდომასა და სხდომას შუა ყველა იმ საკითხს, რაც კომიტეტის გამგებლობის საგანს შეადგენს, გადასწყვეტს პირადად კომიტეტის თავმჯდომარე ან. მისი მოადგილე და შემდგომ მოახსენებს კომიტეტს.

12. კომიტეტს უფლება აქვს სამუშაოთა საამართველოს მუშაობაში მონაწილეობისათვის მოიწვიოს ამა თუ იმ ცალკე საკითხის სპეციალისტები და მათ შორის უცხოელი ექსპერტებიც.

შენიშვნა. კომიტეტს მომსახურეობას უწევს სამუშაოთა სამმართველოს ტეხნიკური აპარატი.

13. კომიტეტის დადგენილებები და მის სხდომებზე განცხადებული განსაკუთრებული აზრები ჩაწერილ უნდა იქნეს სხდომის ჟურნალში, რომელსაც ხელს მოაწერენ თავმჯდომარე და მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. „ნატახკომის“ სამუშაოთა სამმართველოს დაეკისრება ტეხნიკური ზედამხედველობა და უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიოს ნატახტარის წყალსადენის ყველა სამშენებლო სამუშაოს.

15. სამუშაოთა სამამართველოს სათავეში სდგას სამუშაოთა უფროსი, რომელიც ამავე დროს ითვლება კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ, და მისი მოადგილე (იგივე მთავარი ინჟენერი).

შენიშვნა. მთავარ ინჟენერს ჰყავს თავისი მოადგილე.

16. მთავარ ინჟენერსა და მის მოადგილეს დანიშნავს კომიტეტი და დაამტკიცებს ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის და საბჭოს პრეზიდიუმი. მთავარი ინჟენერი და მისი მოადგილე მოქმედობენ სამუშაოთა სამმართველოს მიერ შემუშავებული და კომიტეტის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის საფუძველზე.

17. სამუშაოთა სამმართველოსათვის დაკისრებული მიზნების განსახორციელებლად მას უფლება აქვს:

ა) მოახდინოს მშენებლობისათვის საჭირო საბოლოო ტეხნიკური და ეკონომიური გამოკვლევანი, სათანადო შემთხვევაში წინანდელ გამოკვლევათა შემოწმებით; შეადგინოს ზოგადი და დეტალური პროექტები, ნატახტარის წყალსადენის სათანადო წესით დამტკიცებული ძირითადი პროექტის საფუძველზე; აგრეთვე დაამტკიცოს სამუშაო ნახაზები და გეგმები, მასალებისა და სამუშაოების შეფარდების ნუსხები, ნაგებობათა ტიპები, მუშაობის წარმოების ტეხნიკური პირობები და სხვ.;

ბ) შეიმუშაოს მუშაობის წარმოების საერთო და საკალენდრო გეგმები, საერთო და წლიური საწარმოოო პროგრამა, ყოველწლიური ხარჯთაღრიცხვა და სამუშაოების დაფინანსების საკალენდრო გეგმები და წარადგინოს ყველა ეს გეგმა პროგრამა და ხარჯთაღრიცხვა კომიტეტში დასადასტურებლად და დასამტკიცებლად;

გ) აწარმოოს მუშაობა დამტკიცებული საწარმოო პროგრამისა, სამუშაოთა დაფინანსების გეგმების თანახმად, და დაადგინოს მუშაობის წარმოების საერთო განწესრიგება (საორგანიზაციო გეგმა);

დ) განაგოს კომიტეტის სახსარი, რაც დანიშნულია მშენებლობისათვის, საფინანსო გეგმებით გადადებული თანხების ფარგლებში;

ე) დაამზადოს საჭირო სამეურნეო და ტეხნიკური ინვენტარი, გაწყობილობა და მასალები; დაამტკიცოს სია და სპეციფიკაცია იმ გაწყობილობისა, რაც საზღვარგარედ უნდა იქნეს შეძენილი;

ვ) მოაწყოს დამხმარე საწარმონი და აგებულობანი (სახელოსნო, სატრანსპორტო საშუალება, საწყობი და სხვ.), რაც საჭირო იქნება მშენებლობაში სახმარი მასალის დამზადებისა და აგრეთვე საამშენებლო სამუშაოთა რაზიონალიზაციისა და მექანიზაციისათვის;

ზ) დასდოს და წარუდგინოს კომიტეტს დასამტკიცებლად გენერალური ხელშეკრულებანი, როგორც სსრკ-ში, ისე საზღვარგარედ გაცემულ დაკვეთებზე;

თ) ააგოს ცალკე საცხოვრებელი შენობები და სამეურნეო ხასიათის დაწესებულებანი, რაც საჭირო იქნება სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთათვის მომსახურეობის გასაწევად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) შეიმუშაოს და წარუდგინოს კომიტეტს დასამტკიცებლად ინსტრუქციის პროექტები ანგარიშგების წარმოების წესებისა და ფორმების შესახებ და აგრეთვე წარუდგინოს კომიტეტს ანგარიშები და ბალანსები კომიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადაზე და მის მიერვე დამტკიცებული ფორმით;

კ) მოახდინოს რეალიზაცია გაყიდვის ან და გაცვლის წესით ყველა იმ დარჩენილი ქონებისა და ინვენტარისა, რაც სხვა საპიროებისათვის არ გამოიყენება;

ლ) მუშაობის მსვლელობის მიხედვით შეიტანოს კომიტეტის მიერ დამტკიცებულ პროექტებში, გეგმებში და სამუშაოთა წარმოების ტეხნიკურ პირობებში საპირო ცვლილებანი, კომიტეტისათვის შემდგომი მოხსენებით, ხოლო იმ პიროებით, რომ ამ ცვლილებებმა არ დაარღვიონ ძირითადი ამოცანები და არ გადიდონ სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებები;

მ) მიიღოს იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის გადადება შეუძლებელია, ნაგებობათა დაცვისა და გამძლეობის შენარჩუნების მიზნით, ყველა საპირო ღონისძიება და ეს შემდგომ კომიტეტს მოახსენოს;

ნ) შეიძინოს და გაასხვისოს, კანონით განსაზღვრული ამა თუ იმ წესით, ყოველგვარი ქონება და, სხვათა შორის, შენობაც ღირებულებით 10.000 მანეთამდე დაპოუკიდებლად, ხოლო ამაზე მეტი ღირებულებისა — კომიტეტის ნებართვით; აღძრას სათანადო ორგანოების წინაშე შუამდგომლობა მშენებლობისათვის საპირო მიწების მიჩენის შესახებ; დასდვას ყოველგვარი გარიგება, და სხვათა შორის ხელშეკრულება ნარდად მუშაობისა, ყიდვა-მიწოდების, ნასყიდობისა და ქონების ქირავნობის შესახებ; ამასთანავე სამუშაოთა სამმართველოს მიერ დადებული ნარდად მუშაოაისა და ყიდვა მიწოდების ხელშეკრულება, უკეთუ მისი თანხა აღემატება 50.000 მან., დამტკიცებულ უნდა იქნეს კომიტეტის მიერ; აწარმოოს საკრედიტო და საფინანსო ოპერაციები; კერძოდ, გაიხსნას მარტივი და სპეციალური მიმდინარე ანგარიშები, აკრედიტივები ყველა საკრედიტო დაწესებულებაში, მიიღოს და გასცეს თამასუქები და სხვა ვალდებულებები ათი ათას (10.000) მანეთამდე დამოუკიდებლად, ხოლო ამაზე მეტი თანხისა — კომიტეტის ნებართვით; გაუკეთოს თამასუქებს იმავე ფარგლებში საგადასაცემო წარწერები, როგორც უკუქცევითი, ისე არა-უკუქცევითი; გაანაღდოს თამასუქები; მიიღოს მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში; გამოვიდეს სასამართლო და ადმინისტრატიულ დაწესებულებებში როგორც პირადათ, ისე რწმენებულთა მეშვეობით, რისთვისაც მისცემს ამ უკანასკნელთ რწმენებულობასა და უფლებამოსილობას სხვათათვის გადაცემის უფლებით; გასცეს ყოველგვარი სხვა რწმენებულება როგორც საერთო, ისე ცალკე დავალებათა შესრულებისათვის და, საერთოდ, ჰქმნას ყოველგვარი იურიდიული აქტი, რაც კი საპირო იქნება სამუშაოთა სამმართველოსათვის დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად;

ო) განახორციელოს უშუალო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა, რათა ყველა — გამოოკლებლივ — მუშა-მოსამსახურემ ხედმიწევნით შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა, და სათანადო შემთხვევაში დაადვას მათ სადისციპლინო გადასახდელი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოაწყოს მთლად სამმართველოს აპარატი ტფილისში და მუშაობის ადგილას კომიტეტის მიერ განსაზღვრული წესისამებრ დამტკიცებული შტატების თანახმად: განსაზღვროს განყოფილებათა, სასამსახუროთა და სამმართველოს სხვა ნაწილთა გამგებლობისა და საქმიანობის წესები; დანიშნოს, გადააყენოს და დაითხოოს მუშა-ძოსამსახურენი შრომის კანონდებლობის დაცვით;

ე) დასდვას სამმართველოში სამსახურისათვის მოწვეულ პირებთან შრომის პერსონალური ხელშეკრულებები, რომლითაც გასამრჯელო გათვალისწინებულ უნდა იქნეს არა უმეტეს 4.200 მანეთისა წლიურად;

ვ) იქონიოს ურთიერთი მიმართვა, თავისი გამგებლობის ფარგლებში, ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ, და კოოპერატიულ დაწესებულებასთან და კერძო პირთან; ხოლო სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს სამუშაოთა სამმართველო მიმართავს მარტოოდენ კომიტეტისა და ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტისა და საბჭოს პრეზიდიუმის მეშვეობით.

18. სამუშაოთა სამმართველოს მიერ გამოსაცემი ყველა ინსტრუქცია დასამტკიცებლად კომიტეტს წარედგინება.

19. ნატახტარის წყალსადენის აგების განსახორციელებლად საჭირო სახსარი შესდგება:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტით გადადებული ასიგნობისაგან;

ბ) „ნატახტკომის“ მიერ ასაღები სესხებისაგან და მისაღები მიზნობრივი ანარიცხებისაგან და სხვა თანხებისაგან.

20. ამ დებულების პირველ მუხლში აღნიშნული ნაგებობის-დამთავრების ვადად დადგენილია 1930/1931 საბიუჯეტო წელი.

შენიშვნა. ხსენებული ვადის განგრძობა შეიძლება ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტისა და საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, რაც გამოცხადებულ უნდა იქნეს გაზ. „კომუნისტსა“ და „ზარია ვოსტოკა“-ში.

21. წყალსადენის აშენებისა, გაწყობისა, ასამუშავებლად და ჩასაბარებლად მომზადებისათვის წარმოებულ სამუშაოთა დამთავრებისას, „ნატახტკომი“ გადასცემს ტფილისის საბჭოს მთლად ამოძრავებულსა და სრულიად გამართულს ნატახტარის წყალსადენის ყველა ნაგებობასა და გაწყობილობას. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტისა და საბჭოს პრეზიდიუმი, „ნატახტკომი“-ს ყველა საქმისა და სამუშაოს სალიკვიდაციოდ დანიშნავს სალიკვიდაციო კომისიას.

22. „ნატახტკომის“ ლიკვიდაციის ვადას განსაზღვრავს ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტისა და საბჭოს პრეზიდიუმი და ეს თავის დროზე გამოცხადებული უნდა იქნეს გაზ. „კომუნისტისა“ და „ზარია ვოსტოკა“-ში. ეს ვადა არ შეიძლება იყოს სამ თვეზე ნაკლები და ერთ წელზე მეტი.

ლიკვიდაცია დაეკისრება სალიკვიდაციო კომისიას, რომელსაც მოაწყობს ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმი თავმჯდომარისა და ორი წევრის შედგენილობით; წევრთაგან ერთს დანიშნავს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

სალიკვიდაციო კომისია, რომელიც მთლად თავის საქმიანობაში ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტსა და საბჭოს პრეზიდიუმს ექვემდებარება, მოახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენს მთელი იმ ქონების რეალიზაციას, რაც წყალსადენის აშენების შემდეგ დარჩა და რაც „ნატახტკომის“ განკარგულებაში იყო (საშენი მასალა, ტეხნიკური ინვენტარი და სხვ.) და გამოარკვევს „ნატახტკომი“-სადმი მიმართულ ყველა პრეტენზიას; ყველა ამის განხორციელებისათვის სალიკვიდაციო კომისიას აქვს ის უფლებანი, რაც თავის დროზე მინიჭებული ჰქონდათ კომიტეტისა და სამუშაოთა სამმართველოს.

კრედიტორებს უფლება აქვთ თვით განუცხადონ სალიკვიდაციო კომისიას თავიანთი პრეტენზიები ლიკვიდაციის დამთავრებისათვის დანიშნული ვადის გასვლამდე.

ის პრეტენზიები, რაც გამორკვეულ არ იქნება სალიკვიდაციო კომისიის მიერ და რაც განსაზღვრულ ვადაზე განცხადებულ არ იქნება კრედიტორების მიერ,—მათილად ჩაითვლება.

23. სალიკვიდაციო კომისიის მიერ სრულად ან ნაწილობრივ ცნობილი პრეტენზიების დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ. იმ პრეტენზიების თაობაზე, რაც ცნობილი არ იქნება სრულად ან ნაწილობრივ, სალიკვიდაციო კომისია, ხელშეკრულის ჩამორთმევით, აცნობებს კრედიტორებს, რომელთაც უფლება აქვთ აღძრან სარჩელი სათანადო სასამართლოში ორი კვირის ვადაზე დღიდან მათ მიერ სალიკვიდაციო კომისიისაგან ცნობის მიღებისა.

უკეთუ სასამართლოში წარმოებული საქმეები დამთავრებულ არ იქნა—ლიკვიდაციის დასამთავრებლად დანიშნული ვადისათვის, აღძრული სარჩელების სრულ დასაფარავად და უზრუნველსაყოფად საჭირო თანხებს სალიკვიდაციო კომისია შეიტანს სასამართლოს დეპოზიტში.

ყველა პრეტენზიის დაფარვისა და უზრუნველყოფის შემდეგ დარჩენილი თანხები, აგრეთვე სასამართლოს დეპოზიტში შეტანილი თანხები, რამდენადაც კრედიტორებს უარი ეთქვათ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით,—მიიქცევა ტფილისის საბჭოს შემოსავალში.

სალიკვიდაციო კომისიის გაუქმების დღისათვის სასამართლოში დაუმთავრებელ საქმეებს აწარმოებს ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტისა და საბჭოს ფრეზიდიუმი.

24. ანგარიშს ლიკვიდაციის შესახებ, ყველა დოკუმენტითურთ, სალიკვიდაციო კომისია წარუდგენს ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტისა და საბჭოს პრეზიდიუმს დასამტკიცებლად.

ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი და საბჭოს პრეზიდიუმი გამოიტანს დადგენილებას სალიკვიდაციო კომისიის გაუქმების შესახებ.

25. კომიტეტი მთლიანად და მისი წევრები ცალ-ცალკე, აგრეთვე სამუშაოთა უფროსი, მისი მოადგილე (მთავარი ინჟენერი), ამ უკანასკნელის მოადგილე, მთავარი ბუხჰალტერი, მისი მოადგილე და სალიკვიდაციო კომისიის წევრები სოლიდარულად პასუხს აგებენ ყველა იმ ზარალისათვის, რასაც ისინი ტფილისის საბჭოს და ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს მიაყენებენ.

26. „ნატახკომის“ ყველა იმ ვალისათვის, რაც დაფარულ არ იქნება ლიკვიდაციის წესით, „ნატახტკომსა“ და სალიკვიდაციო კომისიის განკარგულებაში ქონებული სახსარის ნაკლებობის გამო,—„ნატახტკომისა“ და სალიკვიდაციო კომისიის კრედიტორების წინაშე პასუხისმგებელნი არიან ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი და ტფილისის საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

92. დადგენილება ს. კ. ს.

მებაღეობის სფეროში განსახორციელებელ აგრიკულტურულ ღონისძიებათა საჭიროებისათვის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან განსაკუთრებული ფონდის დაარსების თაობაზე—გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 6-ს თარიღისა და 82 №-ს დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 21 №-რი, მუხ. 248) მე-5 მუხ. თანახმად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მებაღეობის პროდუქციის დაბეგვრა განსაკუთრებული სატონნო გამოსაღებით, რომელიც გათვალისწინებულია ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 6-ს თარიღისა და 82 №-ის დადგენილებით „მებაღეობის სფეროში განსახორციელებელ აგრიკულტურულ ღონისძიებათა საჭიროებისათვის ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან განსაკუთრებული ფონდის დაარსების შესახებ“:

ა) სახელმწიფო სამეურნეო ორგანებისა და კოოპერაციისათვის, რომელნიც დაიბეგრებიან მათ მიერ დამზადებული მებაღეობის პროდუქციის რაოდენობის მიხედვით, 1928 წ. აგვისტოს 1-დან;

ბ) კერძო საწარმოთა და პირთათვის, რომელნიც დაიბეგრებიან მათ მიერ რკინის გზით, ზღვით და მდინარით გაგზავნილი მებაღეობის პროდუქტებისათვის იმ ვადაზე, რაც დაწესებულ იქნება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და ტრანსპორტის სათანადო ორგანოების შეთანხმებით.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული სატონნო გამოსაღების გადახდევინების წესი და აგრეთვე მებაღეობის სფეროში განსახორციელებელ აგრიკულტურულ ღონისძიებათა განსაკუთრებული ფონდის შენახვისა და ხარჯვის წესი განისაზღვრება იმ წესებით, რაც შემუშავებულ იქნება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან შეთანხმებით, ხოლო ტვირთის გამგზავნელთათვის სატონნო გამოსაღების გადახდევინების შესახებ—აგრეთვე .გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) შეთანხმებით. ამ წესებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართ. მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1929 წ. აპრილის 2.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

93. დადგენილება ს. კ. ს.

მებაღეობის სფეროში განსახორციელებელ აგრიკულტურულ ღონისძიებათა განსაკუთრებული ფონდის თანხების გადახდევინებისა, შენახვისა და ხარჯვის წესების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი წესები მებაღეობის სფეროში განსახორციელებელ აგრიკულტურულ ღონისძიებათა განსაკუთრებული ფონდის თანხების გადახდევინებისა შენახვისა და ხარჯვის შესახებ.

2. აღნიშნული წესები შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ, გარდა 8 და 9 §§-ისა, რომელიც სამოქმედოდ შემოიღება ამ §§-ში გათვალისწინებული განსაკუთრებული სატონნო გამოსაღების სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატთან შეთანხმების შემდეგ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართ. მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1929 წ. აპრილის 2.
ტფილისი—სასახლე.

წ ე ს ე ბ ი

მებაღეობის სფეროში განსახორციელებელ აგრიკულტურულ ღონისძიებათა განსაკუთრებული ფონდის თანხების გადახდევინებისა, შენახვისა და ხარჯვის შესახებ.

§ 1. მებაღეობის სფეროში განსახორციელებელ აგრიკულტურულ ღონისძიებათა განსაკუთრებული ფონდი შეიქმნება იმ განსაკუთრებული სატონნო გამოსაღების გადახდევინებით შემოსული თანხებისაგან, რაც დაწესებულია ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 6-ს თარიღისა და 82 №-ის დადგენილებით (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 21 №-რი, მუხ. 248) და სამოქმედოდ შემოღებულია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 2-ის დადგენილებით.

§ 2. 1-ლ §-ში აღნიშნული ფონდის შესაქმნელად შეგროვილი თანხები შეადგენს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სპეციალურ სახსარს, რაც უნდა ინახებოდეს და იხარჯებოდეს იმ წესების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 15-ს დადგენილებით „სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსარის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. 21 №-რი, მუხ. 242).

§ 3. მებაღეობის სფეროში განსახორციელებელ აგრიკულტურულ ღონისძიებათა განსაკუთრებული ფონდის სახსარი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შეუძლიან გამოიყენოს მხოლოდ შემდეგ ღონისძიებათათვის: მეხილეობის ეკონომიური და პომოლოგიური გამოკვლევა, სახილე-საკონსერვო წარმოებისა და ხილის ხმობის საქმის საკვლევო მუშაობა, ხილის ბაზრების შესწავლა, ხილის სამრეწველო ხარისხების შესწავლა—სტანდარტის გატარებასთან დაკავშირებით, აღნიშნული ხარისხების გამოცდა ექსპორტ-ტაბელობისათვის, ტყის ხილის ხეებისა და ბუჩქნარების შესწავლა საუკეთესო გოლვისმძლე და ყინვისმძლე ნამყენების გამოსარკვევად, ხილეულობის გამოფენებისა, კურსებისა და კონკურსების მოწყობა ექსპორტის გასაძლიერებლად, სამაგალითო საგლეხო მეურნეობათათვის პრემიების მიცემა სამრეწველო მეხილეობის წასახალისებლად, სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან და უცხოეთიდან მებაღეობის გაუმჯობესებული ახალი მანქანებისა და ინსტრუმენტების გამოწერა და გამოცდა საქართველოს სსრ პირობებში, სსრკ-ისა და უცხოეთის სამეცნიერო-საცდელი ინსტიტუტებიდან ხილეულობის თესლისა და მცენარეების გამოწერა, გამოცდა და საქართველოს სსრ სათანადო რაიონებში გავრცელება, სათანადო პერსონალის მოწვევა აღნიშნულ ღონისძიებათა განსახორციელებლად, სათანადო ლიტერატურის შეძენა, ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა შედეგების თაობაზე ანგარიშებისა და სამეცნიერო ნაშრომთა გამოცემა, ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა გეგმიანი განხორციელებისათვის საჭირო ნაგებობათა მოწყობა; სხვა სამეურნეო-საოპერაციო ხარჯები, რაც ხელს შეუწყობს სამრეწველო მებაღეობის აღდგენასა და განვითარებას.

§ 4. საქართველოს სსრ ტერტორიაზე მებაღეობის პროდუქტების დამამზადებელი სახელმწიფო სამეურნეო ორგანოები და კოოპერატიული ორგანიზაციები შეიტანენ თავიანთ ხვედრ სატონნო გამოსაღებს კვარტალობით საბჭჭხალტერო ცნობების მიხედვით გამოანგარიშებული დამზადებული მებაღეობის პროდუქციის რაოდენობის კვალობაზე. გამოსაღების შეტანის უკიდურეს ვადებს განსაზღვრავს ყოველწლიურად ა/კსფსრ ეკონომიის სახალხო კომისარიატის რწმუნებული (საქართველოს სსრ-ში), მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

აღნიშნულ ვადებზე შეუტანელი თანხები გადახდევინებულ უნდა იქნეს უდავო წესით, „გადასახადთა გადახდევინების დებულებით“ დადგენილ წესებთან შეფარდებით.

§ 5. იმ სახელმწიფო სამეურნეო ორგანოებისა და კოოპერატიული ორგანიზაციების სიაა, რომელნიც ვალდებულ არიან აღნიშნული განსაკუთრებული სატონნო გამოსაღები გაიღონ, დადგენილ იქნება ყოველწლიურად ა/კსფსრ ეკონომიის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) მიერ, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

§ 6. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება აქვთ მოსთხოვონ მე-5 მუხლში აღნიშნულ საწარმოთ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციათ მათ მიერ დამზადებული მებაღეობის პროდუქციის შესახებ (ინ-ბების წარდგენა; იმავე სახალხო კომისარიატებს აქვთ აგრეთვე უფლება შეა-ამოწმონ აღნიშნულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ იმ თანხების გამოან-გარიშების სისწორე, რაც მათ უნდა გაიღონ თავიანთი ხვედრი განსაკუთრებუ-ლი სატონნო გამოსაღების გასასტუმრებლად.

§ 7. შეუთანხმებლობას დამმზადებელ ორგანიზაციათა და საწარმოთა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შორის განსაკუთრებული სატონნო გა-მოსაღების გამოანგარიშებისა და გადახდის საკითხების გამო გადასწყვეტს საქ-ართველოს სსრ ეკონომიური საბჭო.

§ 8. კერძო დამმზადებელთ სატონნო გამოსაღებს გადაახდევინებენ რკი-ნის გზისა და წყლის ტრანსპორტის სათანადო ავენტები მებაღეობის პროდუქ-ციის ტვირთის გაგზავნის დროს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 6-ს თარიღისა და 82 №-ის დადგენილებით დაწესებული რაოდენ-ბით; ეს გამოსაღები გადახდევინებულ უნდა იქნეს იმავე დროს, რა დროსაც გადახდევინებულ იქნება ადგილობრივი ფინანსების დებულებით გათვალისწინე-ბული ადგილობრივი სატონნო სატვირთო გადასახადი; თანაც შეფარდებულ უნდა იქნეს ამ ადგილობრივი გადასახადის გადახდევინებისა, შენახვისა და სა-ხელმწიფო საკასსო დაწესებულებებში გადარიცხვისათვის დადგენილი წესები და აგრეთვე საამისოდვე განსაზღვრული ანგარიშების წესები.

შენიშვნა. განსაკუთრებული სატონნო გამოსაღების გადახდევინები-სათვის ტრანსპორტის ორგანები მიიღებენ გასამრჯელოს იმ რაოდენო-ბით და იმ წესით, რაც დადგენილია ადგილობრივი სატონნო სატვირთო გადასახადის გადახდევინების გასამრჯელოსათვის.

§ 9. განსაკუთრებული სატონნო გამოსაღები არ გადახდებათ მეორედ კე-რძო დამმზადებელთ იმ პუნქტებში, სადაც ტვირთი ერთი სახის ტრანსპორტი-დან მეორე სახის ტრანსპორტზე გადაიტვირთება.

§ 10. ზემოაღნიშნული განსაკუთრებული ფონდის შესაქმნელად შეგროვილი სახსარი შეიტანება მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიმდინარე ანგა-რიშზე სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში.

§ 11. ზედამხედველობის გაწევა განსაკუთრებული სატონნო გამოსაღების გადახდევინებისა და საკასსო დაწესებულებებში თავის დროზე ჩაბარების წესების დაცვისათვის, აგრეთვე ზემოაღნიშნული განსაკუთრებული ფონდის სათანადოთ შენახვისა და გამოყენებისათვის დაეკისრება ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

§ 12. მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განსაკუთრებული სატო-ნნო გამოსაღებით შეგროვილი თანხებიდან, საქართველოს სსრ ეკონომიური სა-ბჭოს დადგენილებით, გამოყოფილ უნდა იქნეს აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტა-ნის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატების განკარგულებაში, აღნიშნულ მიზნობრივ დანიშნულებათა განსაკუთრებული ფონდების სახით, სათანადო სახსარი დასა-ხელებული რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე დამზადებული მებაღეო-ბის პროდუქციის რაოდენობის თანაბრად. ამ ფონდების შენახვისა და ხარჯვის წესი განისაზღვრება ამა წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

94. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

აგრიკულტურულ ღონისძიებათა განხორციელების საქმის რწმუნებულთა ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

მოსავლიანობის გასადიდებლად საჭირო ღონისძიებათა განხორციელებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სასოფლო საბჭოებს, ხოლო იქ, სადაც ეს საბჭოები არ არსებობენ, სათემო აღმასრულებელ კომიტეტებს აარჩიონ აგრიკულტურულ ღონისძიებათა განხორციელების საქმის რწმუნებულნი (აგროწმუნებულნი) შემდეგ მუხლებში აღნიშნულ საფუძვლებზე.

2. აგროწმუნებულებად აირჩევიან ღარიბ და საშუალო გლეხთა წრეებიდან ისეთი პირნი, რომელნიც ცნობილ არიან როგორც აქტიური საზოგადო მოღვაწენი, რომელთაც კარგად იციან სოფლის მეურნეობა, აქვთ ავტორიტეტი და გლეხების ნდობა და რომელნიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის განხორციელებაში, კერძოდ, შემოსავლიანობის გადიდების საკითხებში.

შენიშვნა. უპირატესობა ეძლევათ იმ პირთ, ვისაც სასოფლო-სამეურნეო განათლება მიუღია (საშუალო, დაბალი და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლაში).

3. აგრორწმუნებულნი ირჩევიან ერთი წლის ვადით.

4. აგრორწმუნებულთა რიცხვი განისაზღვრება—ერთი თვითეულ ას კომლზე; იქ, სადაც მოსახლეობა 100 კომლს აღემატება, თვითეული ზედმეტ 100 კომლზე აირჩევა დამატებით თითო აგროწმუნებული.

5. აგრორწმუნებულნი მუშაობენ აგრონომის ხელმძღვანელობით.

6. საწარმოო-საკოოპერატივო ორგანიზაციაში და კოლექტიურ მეურნეობაში აგრორწმუნებულნი არ აირჩევიან. მათ მოვალეობას შეასრულებენ თავმჯდომარენი და გამგეობის წევრნი.

7. აგრორწმუნებულნი დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის განსაკუთრებულ გასამრჯელოს არ მიიღებენ.

დანარჩენი ხარჯი, რაც მათ მუშაობასთან იქნება დაკავშირებული, სათემო აღმასრულებელ კომიტეტებს დაეკისრებათ.

8. აგრორწმუნებულებს დაეკისრებათ:

ა) იცოდნენ ყველა ის სავალდებულო დადგენილება, რაც აგრიკულტურულ ღონისძიებებს შეეხება და აწარმოონ გლეხთა შორის აღსნა-განმარტების ხასიათის მუშაობა ამ სავალდებულო დადგენილებათა განსახორციელებლად;

ბ) ჩაებან გლეხები შემოსავლიანობის გადიდებისათვის წარმოებულ მუშაობაში, კერძოდ—აგროკულტურულ ღონისძიებათა და თესვის კამპანიების ჩატარებაში;

გ) თვალყური ადევნონ, რათა მოსახლეობამ შეასრულოს სავალდებულო დადგენილებანი აგრიკულტურულ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მონაწილეობა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო თათბიოებში და სასოფლო-საბჭოს სასოფლ.-სამეურნეო ღონისძიებათა განხილვაში.

9. აგრორწმუნებულნი ანგარიშს აგებენ სათანადო სასოფლო საბჭოს წინაშე.

10. აგრორწმუნებულნი იღებენ სათანადო სასოფლო საბჭოს ხარჯით გაზეთს „ახალი სოფელი“ და ბროშურებს სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ ტეხნიკური საკითხის თაობაზე, რასაც არსებითი მნიშვნელობა ექნება მათი მუშაობის რაიონისათვის.

11. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართ. მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1929 წ. აპრილის 5.
ტფილისი—სასახლე.

---

95. დადგენილება ს. კ. ს.

სამრეწველო მშენებლობის რაციონალიზაციისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ-ში სამრეწველო მშენებლობის რაციონალური დაყენებისათვის, საამშენებლო სამუშაოთა გაიაფებისა, გეგმიანად შესრულებისა, მეცნიერულად და ტეხნიკურად დასაბუთებისათვის და განსახორციელებელ სამუშაოთა მიზანშეწონილობისა და სათანადო ორგანიზაციისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სხვა ორგანოებს, რომელნიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამრეწველო მშენებლობას ანხორციელებენ, მოახდინონ საჭირო შემთხვევაში მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების წინასწარი სამეცნიერო-საექსპერიმენტალო დამუშავება ამიერკავკასიის ნაგებობათა სამეცნიერო-საკალევო ინსტიტუტში.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სხვა ორგანოებს, რომელნიც სამრეწველო მშენებლობას ანხორციელებენ, მრეწველობის ერთგვარი დარგის ფაბრიკა-ქარხნების პროექტების შედგენის დროს თავიდან აიცილონ ტიპების სხვადასხვაობა და სიჭრელე და მშენებლობას საფუძვლად დაუდვან უფრო ეკონომიური და რაციონალური ტიპი ნაგებობისა, რაც გამოცდილების მიხედვით მიღებულია სსრკ-ში, თანაც შეუფარდონ ადგილობრივ პირობებსა და თავისებურებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საკვლევო და საპროექტო მუშაობის გაუმჯობესებისა და გეგმიანობისა-თვის დაეევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სამრეწველო მშენებლობის განმახორციელებელ სხვა ორგანოებს:

ა) გაითვალისწინონ სათანადო საკონტროლო ციფრებში საპერსპექტივო გეგმით გათვალისწინებულ ნაგებობათა საკვლევო და საპროექტო სამუშაობა-სათვის საჭირო ასიგნება ისეთი თანამიმდევრობით, რომ მშენებლობის საწარ-მოებლად სახსარის გაცემის დროისათვის საკვლევო და საპროექტო სამუშაოები უკვე მთლად შესრულებული იყოს;

ბ) მიიღოს ყველა მათგან დამოკიდებული ღონისძიება, რათა კაპიტალურ სამუშაოთა წლიურ გეგმაში შესატანი სამრეწველო მშენებლობის საკვლევო და საპროექტო სამუშაოები თავის დროზე უზრუნველყოფილ იქნეს საჭირო სახსარით.

4. დაეევალოს ყველა საამშენებლო ორგანიზაციას, ვიდრე ნაგებობათა და შენობათა პროექტების შედგენას შეუდგებოდეს, მოახდინოს ნიადაგის პირობე-ბის დეტალური გამოკვლევა და სისტემატიურად შეისწავლოს იგი, აგრეთვე ად-გილობრივი საშენი მასალების ხასიათი და თვისება.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული გამოკვლევისა და შესწავლის წარმოების დროს საამშენებლო ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს ამიერ-კავკასიის ნაგებობათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მასალები და საჭირო შემთხვევაში შეიმუშაოს ეს საკითხები დამოუკიდებლად, აღნიშ-ნულ ინსტიტუტთან შეთანხმებული მეთოდებით.

5. შენობების სივრცისა და კუბატურის უფრო რაციონალურად და ეფექ-ტიობით გამოყენებისათვის წინადადება მიეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სხვა ხელმძღვანელ სამშენებლო ორგანოებს დააწესონ მეთვალყურ-ეობა, რათა სამრეწველო მშენებლობის პროექტების შედგენის დროს დაცულ იქნეს შემდეგი სავალდებულო პირობები:

ა) შენობისა და მისი ცალკე სართულების სიმაღლე შეზღუდულ უნდა იქ-ნეს აუცილებელი მინიმალური ზომით;

ბ) ნაგებობის ნაწილებისათვის მიღებულ უნდა იქნეს მინიმალური ვარაუდი დატვირთვისა, რაც დაწესებულ ნორმებს არ აღემატება;

გ) განზრახული ნაგებობის აშენება შეთანხმებულ უნდა იქნეს საწარმოს განვითარების საერთო გეგმასთან, ე. ი. პროექტი შეძლებისდაგვარად ნავარაუ-დევი უნდა იქნეს ისე, რომ ანგარიშში მიდებული იყოს თანდათანობითი მშე-ნებლობა წარმოების განზრახულ გაფართოებასთან დაკავშირებით.

6. დაეევალოს ყველა სამშენებლო ორგანიზაციას ცალკე მშენებლობის სა-შენი მასალით მომარაგების გეგმის შემუშავების დროს და მასალის ყიდვა-მიწოდებაზე სათანადო ხელშეკრულების დადების დროს დაცულ იქნეს შემდეგი წესები:

ა) შემუშავებულ იქნეს რაც შეიძლება ზედმიწევნით საშენი მასალების სპე-ციფიკაცია;

ბ) ყიდვა-მიწოდების ვადები ზედმიწევნით იქნეს შეთანხმებული სამშენებ-ლო სამუშაოთა საკალენდრო გეგმებთან;

გ) როგორც საერთო წესი, მასალა შეძენილ იქნეს უახლოეს ბაზარზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) თავიდან აცილებულ იქნეს საშენი მასალის საბაზისო საწყობებში ზედმეტად მიზიდვა.

7. წინადადება მიეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სამრეწველო მშენებლობის განმახორციელებელ სხვა ორგანოებს:

ა) გამოჰყონ მშენებლობის ხელმძღვანელ ტეხნიკურ აპარატიღან სპეციალური უჯრედები მშენებლობის რაციონალიზაციისა და სტანდარტიზაციისათვის;

ბ) იყოლიონ დამოუკიდებელი სპროექტო აპარატები, ხოლო იქ, სადაც ასეთი აპარატები არ იქნება, სამრეწველო მშენებლობის პროექტების შედგენა მიანდონ სამრეწველო მშენებლობის პროექტების შემდგენელ სპეციალურ ორგანიზაციებს, რომელნიც სსრკ-ის ტერიტორიაზე მოქმედობენ.

8. წინადადება მიეცეს ყველა საამშენებლო ორგანიზაციას მიიღოს ღონისძიება, საჭირო შემთხვევაში, სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის გაძლიერებისათვის,

9. წინადადება მიეცეს ყველა სამშენებლო ორგანიზაციას მიიღოს ღონისძიება, რათა გაძლიერებულ იქნეს მშენებელ მუშების მონაწილეობა მშენებლობის გაუმჯობესების საქმეში, განვითარებულ იქნეს საწარმოო თათბირების მოქმედება და მაქსიმალურად გამოყენებულ იქნეს გამომგონებლობის ფონდები.

10. მიენდოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შეიმუშაოს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად, ღონისძიებანი:

ა) მშენებელი მუშებისათვის გასაწევი კულტურული და ყოფაცხოვრების მომსახურეობის გასაუმჯობესებლად;

ბ) საწარმოო თათბირებისა და დროებითი საკონტროლო კომისიების მოსაწყობად კონკრეტული წარმოებითი დაყალების საფუძველზე;

გ) მშენებლობის სფეროში გამომგონებლობის სპეციალური ფონდის შესაქმნელად.

11. წინადადება მიეცეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სამრეწველო მშენებლობის განმახორციელებელ სხვა ორგანოებს მიაქციონ მთელი თავიანთი ძალღონე მშენებლობის თვითღირებულების შემცირებას და მიიღონ ყოველი ღონისძიება მიმდინარე საამშენებლო წელს მშენებლობის რეალური გაიაფებისათვის 15%-ით ანალოგიური ნაგებობათა 1927/28 წლის ღირებულებასთან შედარებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1929 წ. აპრილის 19.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

96. დადგენილება ს. კ. ს.

ძაღლების ცოფიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

ძაღლების ცოფიანობის საწინააღმდეგო ბრძოლის გასაძლიერებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ-ის ყველა ქალაქსა და საკურორტო ადგილას შემოღებულ იქნეს ძაღლების სავალდებულო რეგისტრაცია, რასაც აწარმოებს ადგილობრივ კომუნალური მეურნეობის გმნყოფილება.

აგარაკებსა და. მუშებით დასახლებულ ადგილებში ძაღლების სავალდებულო რეგისტრაცია შემოიღება: მაზრაში—ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისა, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში—ადგილობრივი სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

2. ყველა ძაღლი, რომელიც გამოცხადებულ ვადაზე რეგისტრაციაში გატარებულ იქნება, აგრეთვე მაწანწალა (უპატრონო, უბინაო) ძაღლები დაჭერილ და გაწყვეტილ უნდა იქნენ.

მაძებარი და კარგი ჯიშის ძაღლი, კარანტინში სათანადო იზოლაციის შემდეგ, შეიძლება გადაეცეს დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოს და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ან და გაიყიდოს.

3. იმ ადგილას, სადაც საუტილიზაციო ქარხანაა ან სპეციალური საწარმო, მოკლული ძაღლების ლეშები გაიგზავნება ამ ქარხანასა და საწარმოში სამრეწველო მიზნით გამოსაყენებლად.

4. ძაღლების რეგისტრაციისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს სასყიდელი: იმ ქალაქში, სადაც მოსახლეობა 50.000 სულზე მეტია, თითო ძაღლზე ერთი მანეთი, დანარჩენ ქალაქებსა, კურორტებსა, აგარაკებსა და მუშებით დასახლებულ ადგილებში კი ისეთი რაოდენობით, რასაც დაწესებს სათანადო სამაზრო ან დასახლებული ადგილის საბჭო, ხოლო არა უმეტეს 50 კ. თითო ძაღლზე.

5. საქალაქო და დასახლებული ადგილების საბჭოებს დაეკისრებათ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი ძაღლების რეგისტრაციისა და ძაღლების ცოფიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

ამ სავალდებულო დადგენილებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც ძაღლების რეგისტრაციის ვადა და წესი, ისე ძაღლების შენახვისა, გარედ გამოშვებისა და ქუჩებში გამოყვანის წესი (საყელური სარეგისტრაციო ნომრით, ჯაპები, საცხვირე და სხვ.) და აგრეთვე მეპატრონეთა მოვალეობანი მათი პირუტყვის გაცოფების საწინააღმდეგოდ მისაღებ გასაფრთხილებელ ღონისძიებათა თაობაზე.

6. წინადადება მიეცეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს მიიღონ ღონისძიებანი ადგილებზე სპეციალური სადგურების მოსაწყობად, რომელთაც ეყოლებათ ძაღლების გაცოფების წინააღმდეგ მებრძოლი დამჭერთა რაზმები; საამისოდ ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრიდან გადადებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული ასიგნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დაევალოს აფხაზეთის სს-რისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ სათანადო დადგენილებანი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1929 წლ. აპრილის 19.
ტფილისი—სასახლე.

---

97. დადგენილება ს. კ. ს.

სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ დადებულ ხელშეკრულებათა და გარიგებათა სანოტარო გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ დადებული ხელშეკრულებანი და გარიგებანი, სავაჭრო-სამრეწველო ოპერაციებისათვის დადებულთა გამოკლებით, განთავისუფლებულ იქნენ სანოტარო გამოსაღებისაგან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1929 წ. აპრილის 23.
ტფილისი—სასახლე.

---

98. დადგენილება ს. კ. ს.

სრულიად საკავშირო პოლიტკატორღელებისა და გადასახლებულთა საზოგადოების წევრთა შვილების მუშების შვილებთან გათანასწორების შესახებ სასწავლებლებში შესვლისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სრულიად საკავშირო პოლიტკატორღელებისა და გადასახლებულთა საზოგადოების წევრთა შვილებს სასწავლებლებში შესვლისათვის მიენიჭოს ყველა ის უპირატესობა, რაც მუშების შვილებს აქვთ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1929 წ. აპრილის 23.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

99. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოდ გადაკეთებისა და საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სსრ კავშირში საგზაო მეურნეობისა და საავტომობილო საქმის შესახებ“ 1928 წლის ნოემბრის 28-ის თარიღით გამოცემული დადგენილებისა (სსრკ კან. კრებ. 1929 წ. მე-6 №-რი, მუხ. 52) და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის აპრილის 9-ის დადგენილებით (ა/კსფსრ კან. კრებ. 1929 წ. მე-8 №-რი, მუხ. 70) დამტკიცებული ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველო გადაკეთებულ იქნეს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოდ და ამ სამმართველოს გამგებლობის ფარგლები და მისი უფლება მოვალეობანი განისაზღვროს მის შესახებ გამოცემული ცალკე დებულებით.

2. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამა დადგენილებასთან დართული დროებითი დებულება საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს შესახებ.

3. დაეყალოს ახლად დაარსებულ საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს გააფორმოს თავის გამგებლობაში მიღება საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზატკეცილებისა და ყამირგზებისა ამ გზების კუთვნილი ქონებითურთ-იმ წესისამებრ, რაც დადგენილ იქნება სსრ გზათა სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს მიერ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. მაისის 14.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროებითი დებულება

საქართველოს სს რესპუბლიკის გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. საქართველოს სს რესპუბლიკის გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო ანხორციელებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გზატკეცილების და ყამირგზების მშენებლობისა, შენახვისა და და შეკეთების ხელმძღვანელობას და აგრეთვე აწესრიგებს საავტომობილო საქმეს და ზედამხედველობას უწევს მას ამ ტერიტორიაზე.

2. სამმართველო უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, იმყოფება ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს მიმართ თანამოსახელე სახალხო კომისარიატის მდგომარეობაში, წარმოადგენს ამ სამმართველოს ქვემდებარე ორგანოს და თავის მოქმედებაში ანხორციელებს როგორც საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, ისე ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამართველოს დირექტივებსა და დავალებებს.

უკეთუ მთავარი სამმართველოს დირექტივები და დავალებები მომქმედ კანონმდებლობას არ შეესაბამება, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო განაპროტესტებს აღნიშნულ განკარგულებებს რესპუბლიკის სახალხო კომისარიატებისათვის დადგენილი წესით.

3. საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო, დაკისრებული მიზნების განსახორციელებლად გამოსცემს, თავისი გამგებლობის ფარგლებში, დადგენილებებს, განკარგულებებს, ბრძანებებს, ცირკულიარებს, დებულებებს, ინსტრუქციებს და სხვ. და აგრეთვე დასდებს ხელშეკრულებას და შეთანხმებას.

სამმართველოს განკარგულება შეიძლება შეჩერებულ ან გაუქმებულ იქნეს სახალხო კომისარიატების საერთო დებულებით დადგენილი წესისამებრ.

4. გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს ექვემდებარება ხაზის უბნები საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებზე და აგრეთვე ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების საგზაო ორგანოები.

II. საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს გამგებლობის საგანი.

5. გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების შენახვა და გაყვანა და აგრეთვე, ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტთან ცალკე შეთანხმებიით, კაპიტალურ სამუშაოთა წარმოება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გადაკეთებისა და ახლად გაყვანისათვის.

ბ) საორგანიზაციო-ტეხნიკური დახმარების გაწევა ადგილობრივი საგზაო ორგანოებისათვის, საერთო თვალყურის დევნება, რათა (საერთო-ტეხნიკური ზედამხედველობა და ინსპექცია) ადგილობრივი გზები წესიერ მდგომარეობაში იყოს და აგრეთვე სათანადო ღონისძიებათა მიღება საგზაო სამუშაოებში მოსახლეობის მონაწილეობის სწორი ჩატარებისათვის;

გ) საკავშირო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მდგომარეობის გამოკვლევა, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიების შემუშავება და გაფორმება დადგენილ წესისამებრ და აგრეთვე გზების კლასიფიკაციისათვის მასალების დამუშავება და ზემდგომ ინსტანციებში წარდგენა;

დ) საკავშირო და რესპუბლიკანური გზებისათვის საწარმოო და საპერსპექტივო გეგმების შედგენა; ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ასეთივე გეგმების განხილვა და შეთანხმება; რესპუბლიკაში საგზაო მშენებლობის საერთო გეგმის შედგენა და ზემოაღნიშნული გეგმების განსახილველად წარდგენა მთავარ სამმართველოში და რესპუბლიკის სათანადო უმაღლეს ორგანოებში;

ე) შემუშავება, რესპუბლიკაში მომქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, კანონპროექტებისა, რითაც მოწესრიგდება საგზაო მეურნეობა და საავტომობილო საქმე რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე; თვალყურის დევნება, რათა რესპუბლიკის ტერიტორიაზე შესრულებულ იქნეს საკავშირო, ფედერატიული და რესპუბლიკანური კანონმდებლობა და აგრეთვე მთავარი სამმართველოს განკარგულებანი საგზაო მეურნეობისა და საავტომობილო საქმის სფეროში;

ვ) დამუშავება და სათანადო შემთხვევაში მთავარი სამმართველოსათვის წარდგენა პროექტებისა საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების მშენებლობის შესახებ და აგრეთვე განხილვა ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო მშენებლობის პროექტებისა და მათ შესახებ დასკვნის მიცემა;

ზ) საკავშირო მნიშვნელობის საგზაო მშენებლობისათვის გადადებული სახსარის ფარგლებში წლიური ხარჯთაღრიცხვებისა და მტკიცე გეგმების შედგენა, მათი საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსათვის წარდგენა დასადასტურებლად და შემდგომ მათი წარმართვა ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოში;

თ) საერთო-საკავშირო, ფედერატიული და რესპუბლიკანური ბიუჯეტებით რესპუბლიკანური მნიშვნელობის საგზაო მშენებლობისათვის გადადებული სახსარის ფარგლებში წლიური ხარჯთაღრიცხვებისა და მტკიცე გეგმების შედგენა, მათი წარდგენა საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად და ერთდროულად მათივე წარმართვა მთავარ სამმართველოში ცნობად, ხოლო სათანადო შემთხვევაში, შემდგომი მსვლელობისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) შედგენა, რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომსარიატთან ერთად, რესპუბლიკანური საგზაო ფონდის განაწილების პროექტებისა და ამ პროექტების საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში დასამტკიცებლად წარდგენა;

კ) მეთვალყურეობის გაწევა, რათა ადგილობრივმა საგზაო ორგანოებმა საგზაო მშენებლობისათვის გადადებული ყველა სახსარი სათანადოდ დახარჯონ;

ლ) დამუშავება, განხილვა და სათანადო შემოხვევაში დამტკიცება საგზაო ნაგებობათა პროექტების ტიპებისა და ტეხნიკური ნორმებისა ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს მიერ მიწოდებული ტეხნიკური წესებისა და პირობების საფუძველზე;

მ) გზების ტეხნიკური კვლევა-ძიების წარმოება და აგრეთვე საცდელ სამუშაოთა შესრულება;

ნ) რესპუბლიკის ფარგლებში საგზაო მეურნეობის საგზაო-ტეხნიკური სტატისტიკის წარმოება დაწესებული ფორმით; გზათა რუქების შედგენა;

ო) ტეხნიკური ძალებისა და კვალიფიციურ მომუშავეთა საპიროების გამორკვევა; სათანადო უწყებებთან, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით ზოგად ღონისძიებათა დამუშავება საგზაო და საავტომობილო საქმისათვის საპირო მომუშავეთა კადრის მოსამზადებლად.

პ) რესპუბლიკის საგზაო და საავტომობილო საქმის საკითხების გამო ყრილობებისა და თათბირების მოწყობა, მათში მონაწილეობისათვის სხვა უწყებისა და ორგანიზაციების მოწვევით, და აგრეთვე სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ყრილობებში და თათბირებში მონაწილეობის მიღება;

ჟ) საგზაო და საავტომობილო მეურნეობის მდგომარეობისა და მათი განმგებელ ორგანოების მოქმედების შესახებ პერიოდიული და საერთო ანგარიშების შედგენა;

რ) ავტო-მოტო-მანქანების აღნუსხვა;

ს) ავტო-მოტო-მანქანების ექსპლოატაციის უფლების შესახებ მოწმობების გაცემა; ავტო-მოტო-მანქანების მართვის უფლებისათვის ნებართვის გაცემა;

ტ) რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფ ავტო-საწარმოთა და ავტო-მეურნეობათა მუშაობის ზედამხედველობა და ინსპექცია; ავტო-საწარმოთა და ავტო-მეურნეობათა ტეხნიკური კონსულტაცია საავტომობილო საქმის საკითხების გამო;

უ) რესპუბლიკის მასშტაბით ავტო-მიმოსვლის განვითარების საპერსპექტივო გეგმების პროექტებისა, საიმპორტო გეგმისა და მიწოდების გეგმის შედგენა მთავარ სამმართველოში წარსადგენად; გარაჟებისა და ავტო-სახელოსნოების შენობათა დასამტკიცებლად წარსადგენი პროექტების შესახებ დასკვნის მიცემა; ახლად დაარსებული რესპუბლიკანური მნიშვნელობის ავტო-საწარმოთა და ავტო-მეურნეობათა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შესახებ დასკვნის მიცემა;

ფ) ავტო-მოტო-მანქანების მუშაობის მასალათა აღნუსხვა ტეხნიკური და ექსპლოატაციის მხრით; რესპუბლიკაში ახალი მანქანების მუშაობის აღნუსხვის წარმოება;

ქ) სააეტო-ტრანსპორტო ბეგარასთან დაკავშირებული საკითხების დამუშავება;

ღ) განხილვა დადგენილი ანგარიშებისა, რასაც წარადგენენ ავტო-საწარმონი და ავტო-მეურნეობანი ავტო მოტო-მანქანების ექსპლოატაციის შესახებ;

ყ) წარმოების რაციონალიზაციისათვის და საერთოდ საგზაო და საავტომობილო საქმის სფეროში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპების გამოყენებისათვის სათანადო ღონისძიებათა შემუშავება;

შ) საწარმოო თათბირებისა და კომისიების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის თვალყურის დევნება და მიღებული შედეგისა და მინაღწევის აღნუსხვის წარმოება.

6. საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს აპარატის სტრუქტურა განისაზღვრება საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ არსებული წესისამებრ.

7. გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დაფინანსება განხორციელდება ა/კსფსრ და საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრული წესისამებრ.

8. სამმართველოს უფროსს და მის მოადგილეს დანიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

9. სამმართველოს უფროსი მონაწილეობას იღებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით.

შენიშვნა. როდესაც სამმართველოს უფროსი არ არის, მისი მოადგილე მონაწილეობას იღებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით.

10. სამმართველოს უფროსი ხელმძღვანელობას უწევს სამმართველოს მუშაობას და აგრეთვე ანხორციელებს კანტროლსა და ზედამხედველობას სამმართველოს ქვემდებარე დაწესებულებათა და პირთა მიმართ.

11. სამმართველოს უფროსს უფლება აქვს ერთპიროვნად მიიღოს გადაწყვეტილება ყველა საკითხის გამო, რაც სამმართველოს გამგებლობას ექვემდებარება და ამის შესახებ აცნობოს თავის მოადგილეებს.

შენიშვნა. უკეთუ მოადგილე არ დაეთანხმება სამმართველოს უფროსის ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, მას შეუძლიან, გადაწყვეტილების შესრულების შეუჩერებლად, განსასჩიროს იგი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში და ამის შესახებ აცნობოს მთავარ სამმართველოს.

კრძოდ სამმართველოს უფროს უფლება აქვს:

ა) უშუალოდ განსაზღვროს იმ საქმეთა წრე, რასაც განაგებს მისი მოადგილე და აგრეთვე გაანაწილოს მუშაობა სამმართველოს განყოფილებათა და ნაწილთა შორის;

ბ) დანიშნოს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანოს და დაითხოვოს სამმართველოს პირადი შედგენილობა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით;

გ) განაგოს ხარჯთაღრიცხვით გადადებული კრედიტები, დადგენილი წესის დაცვით, და აგრეთვე დამტკიცოს, ამა დებულებით და სათანადო კანონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბითა და წესებით განსაზღვრულ ფარგლებში, ოპერატიული ხარჯების პროექტები და ხარჯთაღრიცხვები;

დ) განაპროტესტოს არსებული წესისამებრ, თავის გამგებლობის საგანთა ფარგლებში, დადგენილებანი ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტებისა, საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური დაწესებულებებისა და აგრეთვე აფხაზეთის სსრ და აჭარისტანის ავტონომიური სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სახალხო კომისართა საბჭოებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

12. გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და თავის სახელწოდების წარწერით.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტ № 853. დაიბეჭდა 1.250.